სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

თეონა ბერუაშვილი

ქორწინების ბათილად ცნობა

ნაშრომი წარმოდგენილია სოციალურ მეცნიერებათა ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე

სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ელგუჯა ჭანტურია

ასოცირებული პროფესორი

გორი

2019

ანოტაცია

ნაშრომში განხილულია დღესდღეობით ცნობილი, საყოველთაოდ აღიარებული და აქტუალური საკითხი ქორწინება და მისი ერთ-ერთი განუყრელი და აუცილებელი შვილობილი ნაწილი ქორწინების ბათილად ცნობა, ვინაიდან ოჯახი მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს საზოგადოების ცხოვრებაში, მასთან არის დაკავშირებული სიყვარულის გამოხატვა, პირადი განცდა, ბენდიერება, ა.შ. ეს ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული ვინ როგორ ხედავს ოჯახის არს, ცნებას და მნიშვნელობას . ცნობილი ფაქტია, ის რომ ქორწინებისას გვეკისრება უფლება- მოვალეობა, რაც მოითხოვს სამართლებრივ მოწესრიგებას. გააზრებული უნდა გვქონდეს რომ ქორწინება წარმოშობს იურიდიულ შედეგებს. ხშირად ქორწინება ბათილად ითვლება, რასაც მოწმობს სასამართლო პრაქტიკაში არსებული ფაქტები.

ჩემი ნაშრომის თემაა: ქორწინების ბათილად ცნობა, თემიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მივიჩნიე განმეხილა ქორწინების ისტორიული ზოგადი საკითხი და განქორწინების შეწყვეტის მოკლე ექსკურსი. ქორწინების დამადასტურებელი გარემოებები და განქორწინების ბათილად ცნობის საფუძვლები, ასევე ნაშრომში კარგად ჩანს თუ რა ცვლილებები განიცადა ქორწინების ინსტიტუტმა დროთა განმავლობაში.

Teona Beruashvili

Marriage Annulment

Annotation

The thesis discusses up-to-date, admitted and significant question – marriage and one of its inseparable, crucial and essential parts – marriage annulment. As family is an important aspect of the society life, expressing love, private emotions, happiness and etc are connected to it. Everything depends on perceptivity of family essence and its importance. It's a well-known fact that after marriage we become legally liable, that require legal regulation. We should analyze that marriage arises juridical results. Court practice proves that marriage annulment is a frequent fact.

The topic of my thesis is: marriage annulment. Based on the topic, I consider that I should discuss general historical question of marriage and a short excursus of discontinuing divorce; marriage confirming circumstances and the bases of marriage annulment. Also, the thesis clearly presents updates of the marriage institute

სარჩევი

შესავალი 1

თავი I. განქორწინება 3

§1.განქორწინების ისტორიული მოკლე ექსკურსი 3

§2 . ქორწინების არსი 14

§3. საქორწინო ხელშეკრულების ისტორიულ-სამართლებრივი მიმოხილვა 21

§ 4. დაქორწინების პირობები 25

§5. ქორწინების დამადასტურებელი გარემოებები 32

თავი II. ქორწინების ბათილად ცნობა 40

§1. ქორწინების ბათილობის საფუძვლები 40

§2. იძულებითი და ფიქციური ქორწინების ბათილად ცნობა 45

§3. ქორწინების ბათილობის სამართლებრივი შედეგი 48

დ ა ს კ ვ ნ ა 51

გამოყენებული ლიტერატურა 55

შესავალი

1970 წლიდან დამოუკიდებლად არსებობდა საქართველოს საოჯახო და საქორწინო კოდექსი, მასთან იყო დაკავშირებული საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულირება ახალი სამოქალაქო კოდექსის მიღებით გაუქმებული იქნა საქართველოს საქორწინო და საოჯახო კოდექსი, ახალმა კოდექსმა ადგილი მოძებნა და დაიმკვიდრა თავი 1997წელს სამოქალაქო კოდექსის მეხუთე წიგნში , რომელიც მნიშვნელოვან დასკვნით ნაწილს წარმოადგენს. მისი წინა პირობა იყო ის რომ საზღვარგარეთის გამოცდილების, ქართულ სამართლებბრივი დოქტრინისა და პრაქტკის ანალიხის საფუძველზე შესაძლებელი გახდა საზოგადოებრივი ურთიერთობათა ახლებურად მოწესრიგება.

აღსანიშნავია რომ სამოქალაო კოდექსის მირველივე მუხლში აღნიშნულია რომ საოჯახო ურთიერთიბები სამოქალქო ურთიერთობათა ნაირსახეგას წარმოადგენს.

საოჯახო სამართლის ტრანსფორმაციამ დღის წესრგიში დააყენა საოჯახო ურთიერთობათა სამართლებრივი რეგულირების სფერო , საოჯახო სამართლაი არეგულირებს ოჯახში არსებულ ურთიერთბებს,ეს ურთიერთბა შეიძლება იყო სპირადი ან ქონებრივი ხასიათის. ხოლო ოჯახი წარმოადგენს იმ პირთა ერთობლიობას რომელთა შორის ურთიერთობა რეგულირდება. [1]

ოჯახი საზოგადოების აიუცილებელი უჯრედია, ადამიანი ოჯახში იბადენა და ატარებს ცხოვრების მნიშვნელოვან ნაწილს. ოჯახის შექმნის მიზანია ბავშვის დაბადება და მისი განვითრება ნორმალურ პირობებში , მისი წინაპირობა კი ქალისა და მამაკაცის სივარულის ნებაყოფბლობითი გამოლენაა.

ოჯახი არის ადამიანთა ერთობა, შერწყმა და ურთიერთკავშირი, რომლის საფუძველია ქორწინება, ქორწინება შეიძლება დამთავრდეს, განქორწინებით,

[1] შენგელია რ., შ. ე. (მერიდიანი). *საოჯახო სამართალი.* თბილისი: 2009.24

ქორწინების ბათილად ცნობით, ან კიდევ შეიძლება სულაც არ ქონდეს ნეგატიური დასასრული. [2]

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით ქორწინება ,როგორც ქალისა და მამაკაცის კავშირი ოჯახის შექმნის მიზნით ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობას და ნებაყოფლობას. [3]

ნაშრომში განხილულია ქორწინების ერთი-ერთი სახე ქორწინების ბათილად ცნობა, მისი საფუძვლები , არსი და ცნება, ასევე თუ რა სამართლებრივი შედეგით შეიძლება დამთავრდეს ქორწინების ბათილად ცნობის შემთხვევაში.

[2] ჭანტურია, ლ. *საქართველოს სამოქალაქო კოდექსი წიგნი მეხუთე.* თბილისი: სამართალი.2000.23

[3] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი30.

თავი I. განქორწინება

§1.განქორწინების ისტორიული მოკლე ექსკურსი

დავიწყოთ იქიდან თუ რა ფორმით ხდება განქორწინება ძველ ქართულ სამართალში, მაგრამ რამდენიმე სიტყვით შევეხოთ ოჯახის წარმოშობას, იმ საფუძვლით რომ ოჯახის შექმნისთვის საჭიროა და აუცილებელია ქორწინება, პირველყოფილი მეურნეობის წარმოშობამ და მოსახლეობის ზრდამ განაპირობა ადამინიათა ერთმანეთთად დაკავშირება. ამ დროს წამოიშვა ჯგუფები . ჯგუფურ ურთიერთობაში უკვე ერთგვარი წესრიგი არსებობდა, ჯგუფურ ცოლ-ქმრობის გვერდით და მისი არსებობის დროს ჩნდება წყვილადი ოჯახი, რომელიც უკვე ერთ მამკაცსა და ერთ ქალის შეუღლებას გულისხმობდა. ამ საფეხურზე ადამიანთა შრომითი და ყოფაცხოვრებითი ერთობის პირველი ფორმას მყარ სოციალურ ერთეულს პირველყოფილი გვარის პირველი საფეხური-მატრიარქატი წარმოადგენდა, ეს იყო ერთგვარი უპირატესობის ექოპა. მკაცრი ერთგულება ქმრისადმი.

შეიქმნა გამოსასყიდის და მზითვის ინსტიტუტი , აქედან ნათლად ჩანს უსიყვარულო ოჯახების წარმოშობა მონათლმფლობელურ შუა საუკუნეების განმავლობაში განქორწინება აკრძალული იყო , თუმცა ამ დგომის დაცვა შეუძლებელი აღმოჩნდა, ამიტომ ჯერ მართლმადიდებლურ , შემდეგ კათოლიკურ ქვეყნებში იქნა დაშვებული განქორწინება,ძველ საქართველოში განქორწინების საინტერესო და სპეციფიკური ხასაითი ქონდა, განქორწიონებას ყველგან და ყველა დროში ჰქონდა ადგილი, მკაცრი აკრძალვის პირობებშიც კი. დროთა განმავლობაში საზოგადოების განვითარებასთნა ერთად სამართალმაც განიცადა ცვლილება , სწორედ ცვლილების შედეგად ,ქორწინებაც შეიცვალა და მიიღო ახალი სახე , გამოდის რომ სამართალი აწესრიგებს და იხილავს ქალისა და მამაკაცის-უფლებრივ მდგომარეობას . [4]

[4] ჩიკვაშვილი, შ. (მერიდიანი). *საოჯახო სამართალი.* თბილისი: 2004.40

სახლის ცნებას ოჯახი შუა საუკუნეებიდან ჩაენაცვლა, რომელიც ასოცირდებდა ცოლქმრობაზე, ნათესაობასა და ქონების მფობელობაზე დამყარებულ ურთიერთობაზე.

ივანე ჯავახიშვილმა დაასაბუთა, რომ V საუკუნის საქართველოში უკვე „სახლი“ არამარტო საგვარეულოსა და გვარს ნიშნავდა, არამედ ერთ ცოლიანობაზე დამყარებულ ოჯახსაც. შემდგომი ხომ ამგვარი მნიშვნელობა კიდევ უფრო და უფრო უნდა განმტკიცებულიყო. არსებობს ოჯახის ზოგად-სოციოლოგიური და სპეციალურ-სამართლებრივი ცნება. სოციოლოგიური გაგებით, ოჯახი არის პირთა ქორწინებაზე, ნათესაობასა და ბავშვის აღზრდაზე დაფუძვნებული კავშირი. თანამედროვე ოჯახი არის იმის რწმენა, რომ ადამიანის შრომით მიღებული შემოსავალი უმიზნოდ კი არ გაიხარჯება, არამედ მოხმარდება ოჯახის წევრების მატერიალური და კულტურული მოთხოვნების დაკმაყოფილებას.[5]

ოჯახის შექმნის მიზანი ემსახურება ურთიერთსიყვარულსა და პატივისცემის ნიადაგზე მიდგომის გაგრძელებას. სწორედ მეუღლეებს შორის ნშობელბსა და შვილების შორის წარმოშიბლიი ურთიერთობები ქმნიან საოჯახო ურთიერთობის ძირითად საფუძველს. ყველაზე გავრცელებულ კი საფუძველს ქორწინება წარმოადგენს. ოჯახი წარმოადგენს კაცობრიობის მოდგმის განგრძობის, მოსახლეობის ზრდის საზოგადოებრივ ფორმას. მაგრამ მხოლოდ ამით არ ამოიწურება მისი მნიშვნელობა.

ოჯახი წარმოადგენს აგრეთვე იმ პირველად საზოგადოებრივ უჯრედს, სადაც ხორციელდება უმნიშვნელოვანესი სოციალური აქცია–ადამიანის აღზრდა, პიროვნების ფორმირება. ოჯახი ერთ–ერთი მრავალწახნაგოვანი სოციალური მოვლენაა, რომელიც თავის თავში აერთიანებს ბიოლოგიურ და საზოგადებრივ, ეკონომიკურსა და ზნეობრივ, იდეოლოგიურსა და ფსიქოლოგიურ ურთიერთობებს.

[5] შენგელია რ., შ. ე. (მერიდიანი). *საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი.* თბილისი: 2017.11

ვინაიდან ქორწინება ოჯახის საფუძველს წარმოადგენს, ის უძველესი დროიდან საკანონმდებლო მოწესრიგების საგანი გახლავთ . ოთხი ათასი წელიწადია, რაც კაცობრიობას წერილობითი კანონები გააჩნია საქორწინო ურთიერთობების მოსაწესრიგებლად. ქორწინება, რომ ოჯახის საფუძველი არ ყოფილიყო, ის ისევე ნაკლებად იქნებოდა კანონმდებლის ყურადღების საგანი როგორც–მეგობრობაა.

ოჯახი რთული სოციალური მოვლენაა, ოჯახს ხანგრძლივი და მრავლისმომცველი ისტორია აქვს. ოჯახი მოცემული წარმოებითი ურთიერთობის, მთელი საზოგადოების ორგანული ნაწილია–ოჯახის განვითარება საზოგადოების სოციალურ–ეკონომიკური და პოლიტიკური წყობილებით განისაზღვრება.

რამდენადაც ოჯახი გარკვეული სოციალური მოვლენაა და საზოგადოების განვითარებაში მიმდინარე ყველა მნიშვნელოვან პროცესს და ცვლილებებს ასახავს, ბუნებრივია, რომ იგი მეცნიერების სხვადასხვა დარგის კვლევის საგანი ხდება.

ოჯახს საფუძველი ეყრება, როგორც წესი, ქორწინებით. ოჯახში ხორციელდება და ყალიბდება მეუღლეების, მშობლებისა და შვილების, და–ძმებისა და სხვათა დამოკიდებულებანი, მაშასადამე, ოჯახი საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთ–ერთი ფორმაა, იგი ადამიანთა, ოჯახის წევრთა შორის ურთიერთობაა. საზოგადოების სტრუქტურაში ოჯახს სპეციფიკური ადგილი უკავია, იგი შემაკავშირებელი რგოლია დიდ სოციალურ ერთობებსა და პიროვნებებს შორის.

ოჯახის პირველი საფეხური სისხლით მონათესავე ოჯახი იყო. ოჯახის ამ ისტორიულ ფორმაში ცოლ–ქმრული ურთიერთობა გამორიცხავდა, მხოლოდ წინაპრებსა და შთამომავლებს შორის, მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობებს.

პირველყოფილი მეურნეობის წარმოშობამ და მოსახლეობის ზრდამ განაპირობა ადამიანთა ერთმანეთთან დაკავშირება. ამ დროს წარმოიშვა ჯგუფები. ჯგუფურ ურთიერთობაში უკვე ერთგვარი წესრიგი არსებობდა.

ჯგუფური ცოლ–ქმრობის გვერდით და მისი არსებობის დროს ჩნდება წყვილადი ოჯახი, რომელიც უკვე ერთი მამაკაცისა და ერთი ქალის შეუღლებას გულისხმობდა.

ამ საფეხურზე ადამიანთა შრომითი და ყოფაცხოვრებითი ერთობის პირველ ფორმას მყარ სოციალურ ერთეულს პირველყოფილი გვარის პირველი საფეხური–მატრიარქატი წარმოადგენდა. ეს იყო ქალის ერთგვარი უპირატესობის ეპოქა.

წყვილადი ოჯახის ჩამოყალიბებით ბუნებრივმა შერჩევამ საქმე ცოლ–ქმრული ერთეულის მხოლოდ ერთ წყვილამდი დაყვანით დაასრულა. წარმოების პროცესში საწარმოო ძალების განვითარებამ ქალის მდგომარეობა შეცვალა შრომის შედეგად, წამყვანი როლი მამაკაცს მაიკუთვნა, ასე მოხდა მატრიარქატიდან პატრიარქალურ ოჯახზე გადასვლა, ამ დროს ქალს აეკრძალა ქმრის მიტოვება, ქალს მოეთხოვება მკაცრი ერთგულება ქმრისადმი.

შეიქმნა გამოსასყიდის და მზითვის ინსტიტუტები, მოტაცებით ქორწინება, აქედან ნათლად ჩანს უსიყვარულო ოჯახების წარმოშობა მონათმფლობელურ საზოგადოებაში. უკვე დაწერილი კანონმდებლობით მტკიცდება ქმრის გაბატონებული მდგომარეობა ოჯახში, რაც მთლიანად კერძო საკუთრების არსებობაზეა დაფუძვნებული.

ფეოდალურ საქართველოში საკმაოდ განვითარებული ნატურალური მეურნეობის პირობებში, ქორწინებას განსაკუთრებით მოსახლეობის საშუალო და მაღალფენებში ეკონომიკური გარიგების ხასიათი ჰქონდა. ქალის გათხოვებისას ოჯახი იძლევა მზითვს, რომელიც ჩვეულებრივ შედგებოდა მოძრავი და ზოგჯერ უძრავი ქონებისაგანაც. დაწინდვა ქორწინება და ქორწილი ოჯახისათვის მძიმე ეკონომიური ტვირთი იყო[6].

IV–XVIII საუკუნეების საქართველოში ქალთა მძიმე უფლებრივი მდგომარეობის შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ უკანასკნელი ასი წლის მანძილზე მრავალი საფუძვლიანი თუ უსაფუძვლო აზრია გამოთქმული.

მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემობა, რომ ავტორთა უმრავლესობა არ სწავლობდა ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გასარკვევა და ისეთი პირველხარისხოვან წყაროებს, რომელსაც წარმოადგენს ქართული სამართალის

[6] შ., ჩიკვაშვილი. *საოჯახო სამართალი.* თბილისი: გამომცემლობა "მერიდიანი".2004.42

წიგნები და ქართული იურიდიული დოკუმენტები, ისინი უმთავრესად მხატვრულ ნაწარმოებში დაცული ცნობების მიხედვით ცდილობენ საკითხის გადაწყვეტას.

სასურველია ქალთა უფლებრივი მდგომარეობა ოჯახსა და საზოგადოებაში შევისწავლოთ იურიდიული პრაქტიკის მასალების მიხედვით, სამართლებრივი ძეგლების ანალიზების საშუალებით.

პირველ ყოვლისა უნდა შევნიშნოთ რომ IV–V საუკუნეების საქართველოში ქალთა უფლებრივი მდგომარეობის დონე სულ სხვა საფეხურზე იდგა, ვიდრე განვითარებული ფეოდალიზმის ეპოქაში (XI–XIII საუკუნეებში) ან გვიანი შუა საუკუნეების დროს (XIV–XVIIIსაუკუნეებში) ადრე ფეოდალურ საქართველოში ყოველ შემთხვევაში IV–VII საუკუნეებში აშკარაა, რომ სპარსეთისა და სომხეთის ანალოგიურად, ქალი მეტად დაჩაგრული იყო, სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო პატრიარქალურ–ფეოდალიზმის საზოგადოების პირობებში. თუ ჩვენ პარალელს გავავლებთ მეზობელი ქვეყნების ოჯახურ ურთიერთობებთან, ბევრ საინტერესო მასალას ვიპოვით. მაგალითად ევსევი კესარიელი, ეყრდნობა რა მეორე საუკუნის სირიელ მწერალ–ვარდეზანს, მოგვითხრობს, რომ სომხეთში ოჯახის თავ მამაკაცს უფლება აქვს ყოველგვარი პასუხისმგებლობის გარეშე მოკლას ცოლი, საკუთარი შვილები და ასევე უშვილო და და უშვილო ძმაც. ქალის უუფლებო მდგომარეობა სომხეთში დასტურდება სააკ პორტევის კანონებით და იმპერატორ იუსტინიანეს ნოველებით (536 წ. ნოველა 31-ე).

V–VII საუკუნის საქართველოში, ისევე როგორც იმ დროის სპარსეთსა და სომხეთში ქალის უფლებრივი მდგომარეობა არ იყო სახარბიელო.

ამ დროისათვის ოჯახი თავის შემდგომ განვითარებას განიცდის, მაგრამ იგი ყოველთვის რჩება ქმრის ბატონობის ასპარეზად. ქორწინება იყო გარიგება ფეოდალთა შორის მათი შვილების შეუღლების თაობაზე, გვარი და არა პირადი სურვილი წყვეტდა დაქორწინების საკითხს. ფეოდალიზმის დროს მონოგამია (ერთი მამაკაცისა და ერთი ქალის მყარი კავშირი) განხილულია როგორც საქორწიო ურთიერთობის მარადიული ფორმა და კანონით გათვალისწინებული მკაცრი შემთხვევების გარდა დაუშვებელს ხდის განქორწინებას.

ფეოდალიზმის განვითარებამ და კლასიკურმა რელიგიამ, განსაკუთრებით ქრისტიანობამ, განამტკიცა მონოგამიური ფორმა, ქალის მორჩილება მამაკაცისადმი უმაღლესი სათნოების გამოხატულებად იქცა. ქრისტიანული რელიგიის მიხედვით ქალი ქმრის ქონების რეჟიმს ექვემდებარება.

შუშანიკის მარტვილობის მიხედვით, ჩვენ გვესახება ადრეფეოდალური საზოგადოება მისთვის დამახასიათებელი წყობით, სადაც ქალი მამაკაცის პატრიარქალური საოჯახო ხელისუფლების მძიმე უღელს ატარებს, გამორიცხული არ არის, რომ ვარსქენის მეუღლე–შუშანიკი სომეხთა სპასპეტის მამიკონიანის ასული, ქმარს ურვადის მეშვეობით ჰყოლოდათ ნაყიდი. ამ პერიოდში სომხეთსა და საქართველოში მზითვის ინსტიტუტი არ უნდა ყოფილიყო განვითარებული და ქალის ქონებრივი უფლებებიც მეტად შეზღუდული იქნებოდა.

ქალის უუფლებობა ქონებრივი ურთიერთობის სფეროში იწვევს მის უუფლებობას პირადი ურთიერთობის საკითხებშიაც. ამ დროისთვის დამახასიათებელი იყო შეხედულება, ქალზე, როგორც არასრულფასოვან, არასრულუფლებიან არსებაზე, იგი ნაწილობრივ სამართლის ობიექტია–ნივთი, ნაწილობრივ კი სუბიექტი–პიროვნება.

VIII–X საუკუნეში საქართველოში საზოგადოების თითქმის ყველა სფეროში შეიმჩნევა მნიშვნელოვანი პროგრესი, მათ შორის წარჩინებულთა წრეში ქალს მშობლების ქონებაზე მემკვიდრეობის უფლება ჰქონია. იქ სადაც ქალს მშობლების ქონებაზე მემკვიდრეობის უფლება აქვს, უთუოდ არსებობს მზითვის განვითარების ინსტიტუტიც.

IX საუკუნეში საქართველოში მზითვის ინსტიტუტი, დიდი მნიშვნელობის ფაქტია ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გარკვევის ასპექტით. უკვე ქალი ნივთი კი არ არის, არამედ პიროვნებაა. ამიერიდან ქალი შემოდის ქმრის სახლში იმ სფეროთი გარემოცული, რომელშიც ბატონობს მისი თავისუფალი ნება და რომელშიაც გამოიხატება მისი დამოკიდებულება. მზითვი არის ქალის პიროვნება, გამოხატული გარე სამყაროში.

შუა ფეოდალიზმის ეპოქაში (V–VIII ს.ს.) ქალს მზითევში აძლევდნენ არა მარტო მოძრავ არამედ უძრავ ქონებას (მიწის ნაკვეთსაც).

გაბატონებულ წოდებათა სინამდვილეში უკვე VIII–IX საუკუნეებში მოყოლებული ქალი გარკვეულ სფეროში ჩანს ქმედუნარიან სუბიექტად ამასთან დაკავშირებით საკმაო რაოდენობით მოუღწევიათ იურიდიულ დოკუმენტებს.

საქართველოს სამართლის ნორმების მიხედვით ქალის უცილობელ საკუთრებას შეადგენდა ოჯახში მზითევი, ნიშანი, პირისსანახავი და საკუთარი გარჯილობით შეძენილი ქონება, ნიშნისა და განსაკუთრებით კი პირისსანახავის და მზითვის ინსტიტუტის არსებობა ისეთ იურიდიულ ურთიერთობას გულისხმობს, სადაც ქალის მაღალ მდგომარეობას გვიჩვენებს ოჯახსა და საზოგადოებაში.ოჯახის შესახებ შესანიშნავ განმარტებას აკეთებს დიდი მკვლევარი ლუის მორგანი , მამაკაცის და ერთი ქალის შეუღლებას გულისხმობს.

ოჯახის განვითარების ამ საფეხურზე ადამიანთა შრომითი და ყოფითი ერთობის პირველ ფორმას - მატრიარქატი წარმოადგენდა. ეს იყო ქალის ერთგვარი უპირატესობის ეპოქა, რაც გულისხმობდა იმას, რომ მას წამყვანი ადგილი ეკავა მეურნეობაში. (ქალი გახდა პირველი მესაქონლე, მიწათმოქმედი, მშენებელი და კერის შემნახველი).

თუმცა საწარმოო ძალების განვითარებამ შეცვალა ქალის უფლებრივი მდგომარეობა ოჯახში. მესაქონლეობის და მიწათმოქმედების განვითარებამ ამჯერად წამყვანი როლი მამაკაცს მიაკუთვნა.

პატრიარქარული ოჯახის განმტკიცებით ქალს ეკრძალებოდა ქმრის მიტოვება. მას მოეთხოვებოდა მკაცრი ერთგულება ქმრისადმი.

ფეოდალიზმისა და კაპიტალიზმის დროს მონოგამიური ოჯახი შემდგომ განვითარებას განიცდის, თუმცა იგი მაინც რჩება ქმრის საბატონო ასპარეზად. ფეოდალურ საზოგადოებაში ქორწინება წარმოადგენდა გარიგებას ფეოდალთა შორის მათი შვილების შეუღების თაობაზე, სადაც გვარი და არა პირადი სურვილები წყვეტდა დაქორწინების საკითხს.

ფეოდალიზმის დროს მკაცრად იყო აკრძალული მეუღლეთა შორის განქორწინება, ვინაიდან ქორწინება მოიაზრებოდა საქორწინო ურთიერთობის

მარადიული ფორმად და კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა დაუშვებელი იყო განქორწინება. აღნიშნულის ნათელ მაგალითს წარმოადგენს ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის 66-ე მუხლი: „ცოლი და ქმარი რაგინდ სძულობდნენ ერთმანეთს, უბრალოდ გაყრა არ იქნების, კათოლიკოზმა წვრთნით უნდა შეარიგოს „არც ერთ საზოგადოებრივ ორგანიზაცას არ ჰქონია, ისეთი მდიდარი და შინაარსიანი ისტორია, არც ერთ მათგანს არ განუხორციელებია უფრო ხანგრძლივი და მრავალმხრივი ცვლის შედეგები, როგორც ოჯახს, რომელმაც თანამედროვე სახის მიღებამდე განვითარების დიდი გზა განვლო. ოჯახი აქტიური ელემენტია, რის გამოც არასდროსაა ის ერთ ადგილზე გაქვავებული, არამედ დაბალი ფორმიდან გადადის უმაღლესში, იმ ზომით, რა ზომითაც საზოგადოება დაბალი საფეხურიდან ვითარება უმაღლესი საფეხურისკენ უნდა ითქვას, რომ საქართველოში მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობა ხასიათდებოდა ქონებრივი განცალკევებულობის რეჟიმით. დავით ბატონიშვილის სამართლის წიგნის მიხედვით ,,პირის ასახადი და პირისსანახავი არსი მტკიცე და ჟამს გაყრისა სახლიკაცთა თანა არა ჩავარდება წილში.'' გაყრის დროს, ქალის ინტერესები კანონით იყო დაცული და მის პირად ქონებას ხელს არ ახლებდნენ.

გვიანი შუა საუკუნის საქართველოში, როგორც დოკუმენტურადაც დასტურდება გათხოვების შედეგად ქალი არ კარგავდა თავის სამოქალაქო პიროვნებას, უფლება–უნარიანობას და ქმედუნარიანობას.

ქორწინების ძალით ქმარი არ ხდებოდა ცოლის ნების მესაკუთრედ. ოჯახში მეუღლეთა ქონების განკერძოების პრინციპი აშკარად ჩანს, რამდენადაც მეუღლეებს შორის ქონებრივი გარიგებათა დადება ნებადართული იყო. ეს კვლავ შეიძლება გამოდგეს იმის დასამტკიცებლად, რომ საქართველოში არსებობდა შუა საუკუნეებისათვის პროგრესული–მეუღლეთა ქონებრივი განკერძოებულობის რეჟიმი.

მაშასადამე, ფეოდალურ საქართველოში მეუღლეთა შორის ქონებრივი ურთიერთობის სფეროში ცვლილებები ნელა ხდებოდა. იგი ვითარდებოდა თანდათანობით ნელი ევოლუციის გზით. მეუღლეებს შორის პირად და ქონებრივ ურთიერთობაში ქმრის განუსაზღვრელი ბატონობის სამართლებრივ პრინციპს თანდათან ცვლის ახალი სამართლებრივი იდეა, რომელიც მამაკაცს ცოლის მეურვედ

და მეგობრად თვლის. მეუღლეთა პირადი ურთიერთობა თითქოს სახელშეკრულებო მხარეთა გარკვეულ თანასწორობას გულისხმობს.

ოჯახში ქალის გარკვეული უფლებების აღიარებას მისი საზოგადოებრივი მდგომარეობის გარკვეული გაუმჯობესებაც მოჰყვა. ქალები პოლიტიკურ ასპარეზზეც გამოჩნდნენ.

ქართული საოჯახო სამართლის განხილვა არ შეიძლება მოვწყვიტოთ ქართული სახელმწიფოსა და ქართული ხალხის ისტორიას. ქართულ ფეოდალურ საზოგადოებაშიადგილ-მამულიდაოჯახი, მიწის საკუთრება, ქორწინება, საკმაოდმჭიდროდ იყო ერთმანეთთან დაკავშირებული.

ოჯახი არის ის პირველადი საზოგადოებრივი უჯრედი, სადაც ხორციელდება ისეთი უმნიშვნელოვანესი სოციალური აქცია, როგორიცაა ადამიანის აღზრდადაპიროვნებისფორმირება.

საზოგადოების განვითარების კონკრეტული ისტორიული და სოციალურ–ეკონომიკური პირობები თავის მოთხოვნებს კარნახობს ოჯახს და ამდენად, მისი სოციალური ფუნქციების ძირითად წყაროს წარმოადგენს. რამდენადაც იცვლება ეს წყაროები, იცვლება ოჯახის ფუნქციებიც.

ქორწინება, ოჯახის მსგავსად, რთული და მრავამხრივი ფენომენია, რომელიც მკვეთრად ჩანს არა მარტო სამართლებრივ, არამედ ზნეობრივ, სოციალურ და ეკონომიკურ წახნაგებში. ქორწინება ძირითად შემთხვევებში არის ოჯახის შესაქმნელად მიმართული ქალისა და მამაკაცის ურთიერთპატივისცემასა და სიყვარულზე დამყარებული კავშირი. სიყვარული კი არსი ის ფორმა, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია მყარი და სრულყოფილი ოჯახის შექმნა.

ქალს გათხოვებამდე საქმრო მიართმევდა სხვადასხვა საჩუქრებს, რომელიც შეიძლება ყოფლიყო ნივთები ან სხვა სახის ფასეულობანი. ქალს კი ოჯახიდან ატანდნენ მზითვს, რომელიც ასევე ქმრის საკუთრებას წარმოადგენდა.

თუმცა, ჩვ. წელთაღრიცხვის მეორე საუკუნეში რომში ჩამოყალიბდა წესი, რომლის მიხედვითაც ქალი უკან იბრუნებდა მზითვს ქმრის სიკვდილის, ქორწინების შეწყვეტის თუ სხვა შემთხვევებში

ქორწინების შედეგად ქალი და მისი ბავშვები შედიოდნენ ქმრის ძალაუფლებაში. ქმრის ძალაუფლება ცოლის მიმართ იმდენად განუსაზღვრელი იყო რომ, ქმარს ცოლის ფიზიკური განადგურებაც კი შეეძლო.

მას შემდეგ რაც ცოლი შევიდოდა ქმრის ოჯახში იგი კარგავდა კავშირს მამის ოჯახთან.იგი ახლა უკვე თავისუფლდებოდა მამის ძალაუფლებისაგან და ექვემდებარებოდა ქმრის ძალაუფლებას.

ცოლის ქონება გადადიოდა ქმრის მფლობელობაში და შესაბამისად მას აღარ შეეძლო გარიგებების დადება. თუმცა დროთა განმავლობაში ქმრის ეს გაბატონებული მდგომარეობა ცოლზე თანდათან დაიხვეწა და შეიცვალა.

ქორწინებასთან დაკავშირებულ უმნიშვნელოვანეს ურთიერთბებს სამართლბრივი ნორმები არეგულირებენ. ისინი განსაზღვრავენ ქორწინების წესს და პირობებს.აქართველოში ადერქრიტიანულ ხანაში იყვენ ცოლოსანი ეპისკოპოსები და სანამ ცოლოსანი ეპისკოპოსები იყვენე ეს თანამდებობა მამიდან შვილზე მემკვიდერეობით გადადიოდა.

მსოფლო საეკელესიო კრებამ, რომელიც ნიკეაში ჩატარდა დაადგინა, რომ დაუქრწინებელი პირი სასულიერო წოდებაში შესვლის შემდეგ ვერ დაქორწინდებოდა, ხოლო თუ დაქორწინებულმა მიიღო ხელდასმა, იგი ცოლს არ ეყრებოდა. შემდეგ დაადგინეს, რომ ხელდასმის წინ ეპისკოპოსი ვალდებული იყო ცოლს გაყროდ

ისტორიულ მეცნიერებაში დადასტურებულია, რომ ქართველ ერს გავლილი აქვს კაცობრიობის განვითარების თითქმის სრული გზა, მათ შორის, წინაგვაროვნულიცა და გვაროვნულიც. შესაბამისად გავლილი აქვს ოჯახის განვითარების ისტორიული გზაც, რამაც, თავის მხრივ, განაპირობა ოჯახის სხვადასხვა ფორმით ჩამოყალიბება.

გვიან შუა საუკუნეების ქართული კანონმდებლობის მიხედვით, ქორწინება ერთსა და იმავე დროს რელიგიური საიდუმლოებაც იყო და სამოქალაქო აქტიც.

ადრეფეოდალურ ხანაში საქართველოში ქალები დაჩაგრულ მდგომარეობაში იყვენე.

ამ დროს არ იყო განვითარებული მზითვის ინსტიტუტი. ქალთა უუფლებობა ქონებრივ ურთიერთობათა სფეროში განაპირობებდა მათ უუფებობას პირადი ურთიერთობების საკითხებშიც. სავარაუდოა, რომ მეცხრე-მეათე საუკუნეებში საქართველოში მზითვის ინსტიტუტი უკვე ჩამოყალიბებული სახით არსებობდა.

სწორედ ამ პერიოდიდან უკვე ქალი ნივთი აღარ არის, არამედ იგი პიროვნებაა, მზითვი არის ქალის პროვნება გამოხატული გარე სამყაროში[7] ქორწინებაში მყოფ პირებს ერთმანეთის მიმართ წარმოეშობათ არა ჩვეულებრივი, ტრადიციული, არამედ მეუღლეობასთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობანი. ეს უფლებები შეიძლენა იყოს როგორც ქონებრივი, ისე არაქონებრივი ხასიათის. რეგისტრაცია მოხდეს რეგისტრაციის სახელმწიფო ორგანოში.

ეს იმას ნიშნავს, რომ საქორწინო ურთიერთობათა მოწერიგება სახელმწიფოს კომპეტენციაა. აქ მთავარია, მეუღლეთა მხრივ ოჯახის შექმნისადმი სერიოზული დამოკიდებულება. ქორწინების რეგისტრაცია დაწესებულია, როგორც სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების უზრუნველსაყოფად, მეუღლეთა და მათი შვილების პირადი და ქონებრივი უფლებების დაცვის მიზნით.

ქორწინების რეგისტრაცია საშუალებას აძლევს სახელმწიფოს თავის საქმიანობაში გაითვალისწინოს სხვადასხვა დემოგრაფიული მონაცემები (მაგ: შობადობის მდგომარეობა, მოსახლეობის შემადგენლობა დ სხვა).

ქორწინების რეგისტრაცია ამარტივებს მეუღლეთა შორის ურთიერთობას და შესაძლებლობას აძლევს სახელმწიფოს დაიცვას მეუღლეებისა და მათი შვილების ინტერესები.

---

[7] ჩიკვაშვილი შ. . *საოჯახო სამართალი.* თბილისი: გამომცემლობა "მერიდიანი".2004.222.

ქორწინების რეგისტრაციის საფუძველზე სახლმწიფოს შეუძლია გააკონტროლოს ქორწინებათა კანონიერება და თავიდან აიცილოს იმ პირთა დაქორწინება, რომელთაც არ შეუძლიათ შექმნან მყარი ოჯახი და ჰყავდეთ სრულფასოვანი შთამომავლობა

ქორწინება არის ისეთი სამოქალქო-სამართლებრივი გარიგება, რომელიც მეუღლეებისათვის წარმოშობს პირად და ქონებრივი ხასიათის უფლება-მოვალეობებქორწინების რეგისტრაციის შესახებ განცხადება მექორწინეებს შეუძლიათ შეიტანონ ნებისმიერი ქალაქის ან რაიონის სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივ სამსახურში. ჩვეულებრივ, მექორწინეები თავიანთ საცხოვრებელი ადგლის მიხედვით ტარდებიან რეგისტრაციაში.

ყველა შემთხვევაში, ქორწინების რეგისტრაცია უნდა მოხდეს დასაქორწინებელ პირთა უშვალო მონაწილეობით.

ჩვენი კანონმდებლობით არ არის დაშვებული წარმომადგენლის მეშვეობით ქორწინება, ანუ ეს ის შემთხვევაა, როცა რეგისტრაციის დროს ადგილზე არ არის საცოლე და საქმრო და მათ ცვლიან სხვა პირები-მექორწინეთა წარმომადგენლები. ძველად საქართველოში წარმომადგენლობითი ქორწინება არც ისე პოპულარულად ითვლებოდა, იგი პატივისა და ღირსების შემლახავად იყო მიჩნეული, განსაკუთრებით ქალებისთვის.

§2 . ქორწინების არსი

თანამედროვე ქართულ ოჯახს, სიყვარულის ნიადაგზე ქორწინება და ოჯახის წევრთა თანასწორობა უდევს საფუძვლად, რომლის გარანტიასაც ქართული ოჯახის სიმტკიცე წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ სწორედ ოჯახში წარმოშობილი ურთიერთობები ის ობიექტია, რაზედაც მიმართულია საოჯახო სამართალი, ე.ი. ისინი წარმოადგენენ სამართლის ამ დარგის კვლევის საგანს და არა მხოლოდ მისას, რამდენადაც ეს ურთიერთობები თავისი სპეციფიკური ხასიათიდან გამომდინარე უყურადღებოდ არ დარჩენია

სამათლის სხვა დარგებსაც. სწორედ ამან განაპირობა ზოგიერთი საოჯახო ინსტიტუტის შემადგენელ საკითხთა სამოქალაქო სამართლის მომეტებულად განხილვა. კერძოდ, ფიზიკურ პირთა უფლება–ქმედუნარიანობა, პასუხისმგებლობა, მეუღლეთა თანასაკუთრება, ურთიერთრჩენის ვალდებულება, საქორწინო კონტრაქტი და სხვა ამდაგვარი საკითხები–რამდენადაც ოჯახში წარმოშობილი ურთიერთობები ხშირ შემთხვევაში სამართლებრივ ხასიათს ატარებს, მეცნიერთა წინაშე დღის წესრიგში დადგა გაერკვიათ თვითონ ოჯახის სამართლებრივი ბუნება, მოქმედი საქორწინო–საოჯახო კანომდებლობა განამტკიცებს მხოლოდ საოჯახო ურთიერთობის პრინციპებს[8].

ოჯახის შექმნის ძირითადი საფუძველია ქორწინება. ქორწინება ეს არის ოჯახის შექმნის მიზნით ქალის და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირი, რომელიც რეგისტრირებულია სახლემწიფო ორგანოში (ქორწინება ეს არის ურთიერთ სიყვარულსა და პატივისცემაზე დაფუძვნებული, სამიდღემშიო კავშირი, რომელიც მიზნად უნდა ისახავდეს ბავშვის დაბადებას და აღზრდას)ქორწინების სახლემწიფოებრივი რეგულირება გულისხმობს ქორწინების პირობის განსაზღვრას. უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფო კანონის მეშვეობით ადგენს როდისაა ქორწინების რეგისტრაცია შესაძლებელი, და რა გარემოებები მიიჩნევა რეგისტრაციისათვის ხელის შემშლელად. სოჯახო კანონმდებლობით მნიშვნელოვნადაა გამარტივებული ქორწინებისა და განქორწინების წესი და პირობები.

ქორწინების პირობები ორ ჯგუფად იყოფა: ქორწინების პოზიტიური პირობები, რომელთა არსებობის დროსაც დასაშვებია ქორწინების რეგისტრაცია და ქორწინების ნეგატიური პირობები, რომელთა არსებობა ქორწინების დამაბრკოლებელ გარემოებას წარმოადგენს

მეუღლეთა უფლება–მოვალეობებს წარმოშობს მხოლოდ რეგისტრაციის სახელმწიფო ორგანოში გაფორმებული ქორწინება. ამ წესთან კანონი ათანაბრებს ქვეყნის ფარგლებს გარეთ მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეების ქორწინებას საქართველოს საელჩოებში ან საკონსულოებში.

---

[8] შენგელია რ., შ. ე. (მერიდიანი). *საოჯახო სამართალი.* თბილისი: 2009.59

აღიარებულია ის ქორწინება, რომელიც დარეგისტრირებულია მხოლოდ რეგისტრაციის სახელმწიფო ორგანოში, იგი წაროშობს დაქორწინებულთა შესაბამის უფლება–მოვალეობებს. კანონიერი ქორწინებისათვის დასაქორწინებელ პირთა თანხმობაა საჭირო და ამის გარდა საჭიროა საქორწინო ასაკი, რომელიც განისაზღვრება 18 წლით.

თანამედროვე საოჯახო სამართლის თეორიაში დღემდე ჭარბობს შეხედულება იმის შესახებ, რომ ქორწინება არის მამაკაცისა და ქალს შორის თავისუფალი, ნებაყოფლობითი და თანასწორუფლებიანი კავშირი ოჯახის შექმნის მიზნით, რომელიც დამყარებულია ურთიერთსიყვარულისა და პატივისცემის გრძნობებზე, რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში და წარმოშობს მეუღლეთა ურთიერთუფლება მოვალეობებს. მსგავსი განმარტება საოჯახო სამართლის სამეცნიერო და მონოგრაფიულ ლიტერატურაში მოყვანილია ზოგიერთი კორექტივებით. მაგალითად, ო. ხოზოვა ქორწინების ქვეშ გულისხმობს, ადრე მოქმედი საქორწინო-საოჯახო კანონმდებლობა არ იძლეოდა ქორწინების ცნების განსაზღვრას. კანონში მისი შეტანა შეუძლებლად იყო მიჩნეული იმის გამო, რომ იგი ვერ ამოწურავდა მისი იურიდიული და ზნეობრივი მნიშვნელობის მქონე ნიშანს-თვისებებს. გ. შერშენევიჩის მიერ ჯერ კიდევ საუკუნის დასაწყისში მოცემული ქორწინების ცნების განსაზღვრა იურიდიული თვალსაზრისით, როგორც მამაკაცისა და ქალის კავშირისა ერთობლივი თანაცხოვრების მიზნით, რომელიც ემყარება ურთიერთთანხმობას და განხორციელებულია დადგენილი ფორმით – მთლიანობაში შეიცავდა იმ ძირითადი პირობების ერთობლიობას, რომელთა არსებობისას ,,სხვადასხვა სქესის წარმომადგენელთა ერთობლივი თანაცხოვრება იძენს კანონიერ ხასიათს, ე.ი. მას მოჰყვება კანონიერი ქორწინებისათვის დამახასიათებელი ყველა შედეგი''. შემთხვევითი არ არის, რომ გ. შერშენევიჩის მიერ შემოთავაზებული ქორწინების ცნება განმსაზღვრელი გახდა შემდგომში ქორწინების, სწორედ როგორც ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირის შესახებ შეხედულებათა დასაბუთებისათვის.

იურიდიულ ლიტერატურაში არსებობდა მოსაზრება იმის შესახებ, რომ ქორწინება, როგორც ოჯახის შექმნის მიზნით მამაკაცის და ქალის კავშირი, უნდა ატარებდეს სამისდღეშიო ხასიათს. ამგვარი პოზიცია ეფუძვნება ვარაუდს იმის შესახებ, რომ ოჯახის ერთ-ერთ ძირითად მიზანს უნდა წარმოადგენდეს ბავშვების დაბადება და გაზრდა. ამასთან, დაქორწინების, მამაკაცისა და ქალის დამახასიათებელი იყო არა მარტო საბჭოთა საოჯახო სამართლისათვის, არამედ ასახვას პოულობდა საზღვარგარეთის ზოგიერთ ქვეყნის კანომდებლობაში, სადაც გათვალისწინებული იყო სამისდღეშიო ქორწინების შეახებ ნორმები, თუმცა განქორწინებათა მნიშვნელოვანი რაოდენობის გამო, ატარებდა უფრო ეთიკურ-მორალურ, ვიდრე იმპერატიულ ხასიათს ქორწინების, როგორც სამისდღეშიო კავშირის (life-long marriage) შესახებ თეზისის პრაქტიკული სისუსტე გახდა უკანასკნელი ათწლეულთა მანძილზე ზოგიერთ ქვეყანაში ქორწინება-ამხანაგობის (partnershipi), როგორც ქორწინების ფორმის გავრცელების გამო. სამისდღეშიო ქორწინების პრინციპი ატარებს უფრო სასურველ, ვიდრე ფაქტობრივ ხასიათს. აღსანიშნავია, რომ თანამედოვე საოჯახო სამართალი მოითხოვს ახალ, ეროვნული იურიდიული მეცნიერებისათვის არატრადიციულ შეხედულებებს ქორწინებაზე, რომელიც პრინციპულად განსხვავდება ადრე არსებულთაგან. მაგალითად, მ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1109-ე მუხლში განაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული პირთა წინასწარ თანხმობაზე ანუ ნიშნობაზე. ნიშნობის ინსტიტუტი საქართველოსათვის არასდროს ყოფილა უცხო, თუმცა ადრე მასში სხვა შინაარსი იყო ჩადებული

წარმართობის პერიოდში, როცა ქალი ყიდვისა და მისი ნების საწინააღმდეგოდ დაქორწინება იყო შესაძლებელი, ნიშნობას არავითარი ფუნქცია არ გააჩნდა. ნიშნობა ისტორიულად წარმოადგენდა ახალგაზრდა წყვილის საცოლედ და საქმროდ აღიარების ტრადიციას, რომლის შემდეგ, ქორწინებამდე გადიოდა რამოდენიმე თვე და ზოგიერთ შემთხვავაში რამოდენიმე წელიც კი. ამ ტრადიციანტოკოლსკაიას ქორწინების, როგორც ხელშეკრულების, საიდუმლოებით მოცული მოვლენისა და განსაკუთრებული ინსტიტუტის (sui generic) შესახებ სამართლებრივი თეორიების თანმიმდევრულად გამოკვლევისას მიდის იმ დასკვნამდე, რომ ,,დაქორწინების შესახებ შეთანხმება რეგულირდება სამართლით და წარმოშობს სამართლებრივ

შედეგს, იგი წარმოადგენს ხელშეკრულებას''. თუმცა მისივე თქმით, დაქორწინების მიზნად მდგოარეობს არა მარტო საქორწინო სამართალურთიერთობის წარმოშობაში, არამედ აგრეთვე ისეთი კავშირის შექმნაში, რომელიც ემყარება სიყვარულს, პატივისცემას, ურთიერთდახმარებას, მხარდაჭერას და ა.შ. [9]

ამრიგად, ზემოთქმული საშუალებას გვაძლევს ავღნიშნოთ, რომ აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, ქორწინების შეხედულებათა უმრავლესობა ძირითადად ემთხვევა ერთმანეთს. ქედან გამომდინარე, მეცნიერებმა პრაქტიკასა და დაგროვილი თეორიული ცოდნის განზოგადოების საფუძველზე შეძლეს ჩამოეყალიბებინათ ქორწინების ცნება, რამაც პირველად პოვა ასახვა საქართველოს სამოქალაქო კოდექსში.

სამართლის მეცნიერება ქორწინების ცნების განსაზღვრისას გამოდის იქიდან, რომ ქორწინება არის ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირი, რომელიც რეგისტრირებულია სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში (სამოქალაქო კოდექსის 1106 მუხლი). [10]

ქორწინების დეფინიციასთან დაკავშირებით დავაზუსტოთ, რომ ქორწინება არის ქალისა და მამაკაცის ურთიერთსიყვარულზე, პატივისცემასა და თანასწორუფლებიანობაზე დამყარებული, როგორც წესი, სამისდღეშიო კავშირი, რომელიც წარმოშობს მეუღლეთა პირად და ქონებრივ უფლება-მოვალეობებს და მიზნად ისახავს ბავშვების დაბადებასა და აღზრდას.

ქორწინება ნიშნავს, სანახევროდ შეამცირო საკუთარი უფლებები და ორმაგად გაზარდო შენივე მოვალეობები, ამიტომ, ოჯხის შექმნისას, დასაქორწინებელი პირები უნდა ხელმძღვანელობდნენ თავიანთი გულისა და გონების კარნახით, ადამიანის და საკუთარი თავის მიმართ პასუხისმგებლობისა და სერიოზული დამოკიდებულების გრძნობით. მტკიცე და ბედნიერი ოჯახის შესაქმნელად კი აუცილებელია, რომ

[9] შ., ჩიკვაშვილი.. *საოჯახო სამართალი.* თბილისი: გამომცემლობა "მერიდიანი".2004.65

[10] შ., ჩიკვაშვილი. *საოჯახო სამართალი.* თბილისი: გამომცემლობა "მერიდიანი".2004.66

დასაქორწინებელმა პირმა დაიცვას ქორწინებასთან დაკავშირებული კანონის მოთხოვნები.

ქორწინების ცნებაში ხაზი აქვს გასმული, რომ ქორწინება არის ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირი. თუმცა, ყურადღების მიღმა არ უნდა დაგვრჩეს ის გარემოება, რომ არსებობს ქვეყნები, სადაც კანონმდებლობით დაშვებულია ერთი სქესის პირებს შორის ქორწინების რეგისტრაცია (დანია, ნორვეგია, საფრანგეთი და შვეცია).ამ ქვეყნებში უკანასკნელ წლებში მიღებულია სპეციალური კანონები, რომლებიც ნებას რთავენ ერთი სქესის ადამიანების ქორწინების რეგისტრაციისათვის.იდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მომავალი მეუღლეებისა და მათი ახლობლების შემდგომი ბედნიერებისათვის. კერძოდ, ამ ხნის მანძილზე, როგორც ახალგაზრები, ისე მათი ოჯახები ასწრებდნენ ერთმანეთის უკეთ გაცნობას, დაახლოებას, თავიანთი გადაწყვეტილების მიზანშეწონილობასა და სერიოზულობის შემოწმებას. ნიშნობა ხელს უწყობდა დაუფიქრებელი და ნაჩქარევი ქორწინების თავიდან აცილებას, რაც გარკვეულწილად ამციერბდა განქორწინების რიცხვს. აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთ შემთხვევაში დანიშნული პირები ქორწინებამდე არ იცნობდნენ ერთმანეთს და რაც მთავარია, მათ ეკრძალებოდათ სხვა პირის მიმართ გრძნობების „გაჩენაც“ კი. ქრისტიანობის წარმოშობის და დამკვიდრების შემდეგ, მნიშვნელოვნად შეიცვალა დამოკიდებულება ქორწინებისადმი.

აქდან მოყოლებული ნიშნობა თანდათან მკვიდრდება, მისი შინაარსი სულ უფრო სრულყოფილი ხდებოდა და უმეტეს შემთხვევაში წინასაქორწინო აუცილებელი მოქმედების სახეს ღებულობდა.

ნიშნობის მიღწევ შესაძებელია ზეპირი გარიგების საფუძველზე. ქალის დანიშვნის დროს ნიშნის სახით ძირითადად ძვირფას ბეჭედს და სხვა სამკაულებს იყენებდნენ. ბეჭედი დანიშვნის და ქორწინების ძირითადი სიმბოლო იყო ძველად და ამ მიზნით დღესაც ფართოდ გამოიყენება

1994 წელს შვედეთში მიღებულმა კანონმა, რომელიც ძალაში შევიდა 1995 წლის 1 იანვრიდან, განსაზღვრა ერთი სქესის პირთა ქორწინების სპეციალური პროცედურა.

ამავე კანონით დადგენილია, რომ რეგისტრირებულ ერთი სქესის წევრებს არ შეიძლება ჰყავდეთ ბავშვი აღსაზრდელად;

ნიშნობის ინსტიტუტის ლოგიკური განვითარების საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსში გამოხატული პოზიცია. კანონი ხაზს უსვამს იმ გარემოებებს, რომ:

1. ნიშნობის დროს მთავარი და გადამწყვეტი არა მშობლებისა და სხვა ნათესავების განწყობაა, არამედ დასაქორწინებელ პირთა წინასწარი თანხმობა;

2. ნიშნობა დანიშნულ პირთა შორის არ წარმოშობს შემდგომი დაქორწინების ვალდებულებას;

3. რადგან, ნიშნობა არ იწვევს მომავალში აუცილებელ დაქორწინების მოვალეობას, იგი არ შეიძლება იძულებითი დაქორწინების შესახებ სასამართლოსადმი სარჩელით მიმართვის საფუძველი გახდეს;

4. ნიშნობა არ წარმოშობს არავითარ ქონებრივ ვალდებულებას იმ პირთა შორის, რომლებმაც განაცხადეს წინასწარი თანხმობა დაქორწინებაზე;

5. ნიშნობასთან დაკავშირებული ერთმანეთისადმი მირთმეული განსაზღული ღირებულების საჩუქრები დაუქორწინებლობის შემთხვევაში მხარეებს უბრუნდებათ უკან;

აკრძალული აქვთ ბავშვის შვილად აყვანა როგორც ორივეს ერთად, ისე თითეულს ცალ-ცალკე და არ დაიშვებიან ხელოვნური განაყოფიერებისათვის განკუთვნილ სამედიცინო პროცედურებზე. ამასთან, ასეთი ქორწინების რეგისტრაციას შეიძლება ადგილი ჰქონდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი მხარე არის შვედეთის მოქალაქე და ცხოვრობს ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე. [11]

[11] შ., ჩიკვაშვილი.*საოჯახო სამართალი.* თბილისი: გამომცემლობა "მერიდიანი".2004.68

§3. საქორწინო ხელშეკრულების ისტორიულ-სამართლებრივი მიმოხილვა

საოჯახო სამართლში იმპერატიული ნორმების ზემოქმედებისაგან დასაღწევად ბევრი წყვილი უარს ამბობდა დაქორწინებაზე, თუმცა დღეს მათ აქვთ შესაძლებლობა საქორწინო ხელშეკრულების საფუძველზე გადაწყვიტონ ერთმანეთს შორის ქონებრივი ურთიერთობის ნებისმიერი საკითხი. [12] კანონი ამკვიდრებს მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობის ახალ სახეს სახელეკრულებოქონებრივ ანუ საქორწინო-საკონტრაქტო ურთიერთობას. საქორწინო ხელშეკრულება საშუალებას აძლევს მათ ვინც ქორწინდება, ანუ მომავალ მეუღლეებს, აწონ-დაწონონ ყველა თავისი მოთხოვნა და სურვილი. თავდაპირველად, ხელშეკრულება ზეპირი ფორმით იდებოდა.

დაახლოებით მეთექვსმეტე საუკუნიდან უკვე საქორწინო ხელშეკრულების წერილობითი ფორმით დადება დამკვიდრდა. საბჭოთა კავშირში საქორწინო ხელშეკრულება არ იდებოდა, რადგან მსგავსი ხელშეკრულება ვერ თავსდებოდა იმხანად არსებულ საოჯახო ურთიერთობათა მკაცრი იმპერატიულ რეგულირების ჩარჩოებში. თუმცა შეუძლებელი იყო მეუღლეების მხრიდან საკუთარი ქონებრივი ურთიერთობების ჩამოყალიბების ინიციატივის სრულის ჩახშობა. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირში არ იყო გათვალისწინებული საქორწინო კონტრაქტის ინსტიტუტი, მისი ცალკეული ელემენტები მაინც არსებობდა. [13]

საქართველოს საოჯახო სამართალში საქორწინო კონტრატის ინსტიტუტი წარმოიშვა 1997 წლის სამოქალაქო კოდექსის ძალაში შესვლის შემდეგ, თუმცა საქართველოს კანონმდებლობა არ იძლევა საქორწინო ხელშეკრულების განსაზღვრებას.

რადგანაც, საქორწინო ხელშეკრულება წარმოადგენს ქართული კანონმდებლობის სიახლეს, მას ჯერ კიდევ არ აქვს მყარი ნიადაგი რეალურ ცხოვრებაში.საქორწინო ხელშეკრულება, გარდა იმისა, რომ იგი არის მექორწინეთა შეთანხმება ქონების რეგისტრაციის თაობაზე, ის აგრეთვე მეუღლეთა შორის ქორწინების განმავლობაში

---

[12] ლ.ჭანტურია. (1997). *შესავალი საქართველოს სამოქალაო კოდექსის ზოგად ნაწილში.* თბილისი: 352.

[13] შ., ჩიკვაშვილი. *საიჯახო სამართალი.* თბილისი: გამომცემლობა "მერიდიანი".2004.183

და განქორწინების შემთხვევისათვის საქორწინო უფლებებისა და მოვალეობების განაწილების თაობაზე მიღებული კონსესუსია.[14]

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1172-ე მუხლის მიხედვით, მეუღლეებს შეუძლიათ დადონ საქორწინო ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება მათ შორის ქონებრივი ურთიერთობების წარმოშობის, შეცვლის და შეწყვეტის საფუძვლები.

კანონის მიხედვით საქორწინო ხელშეკრულების დადება სავალდებულო არ არის, იგი მეუღლეთა სურვილზეა დამოკიდებული. საქორწინო ხელშეკრულებით შეიძლება განსაზღრული იყოს მეუღლეთა ქონებრივი უფლებები და მოვალეობები როგორც, ქორწინების განმავლობაში, ისე განქორწინების შემთხვევაშიც. კანონი ზუსტად არ განსაზღვრავს იმ მომენტს, როცა მეუღლეებს შეეძლებათ ერთმანეთთან ხელშკრულების დადება. ხელშეკრულების დადება არ არის დაკავშირებული რაიმე პირობასთან. ქორწინებამდე დადებული საქორწინო ხელშეკრულება ძალაში შევა მას შემდეგ, რაც მოხდება ქორწინების რეგისტრაცია. ხოლო თუ წინასწარ დაიდო საქორწინო ხელშეკრულება და შემდეგ ქორწინება არ მოხდა, ასეთი ხელშეკრულება უნდა გაუქმდეს. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საქორწინო ხელშეკრულება ქორწინების რეგისტრაციის გარეშე არავითარ უფლება-მოვალეობებს არ წარმოშობს. საქორწინო ხელეკრულება იდება კანონით დადგენილი ფორმით და წესით.

კანონი იმპერატიულად ითხოვს მის დადებას წერილობით და სანოტარო წესით დადასტურებას. აუცილებელია მოხდეს სანოტარო წესით დადასტურება და არა დამოწმება. სანოტარო წესით დადასტურება, სანოტარო წესით დამოწმებისგან იმით განსხვავდება, რომ ამ დროს ხდება ხელშეკრულების მხარეთა ხელმოწერის ნამდვილობის დადასტურება და არა ხელშეკრულების შინაარსის კანონიერების შემოწმებას.[15]

---

[15] ლ.ჭანტურია. (1997). *შესავალი საქართველოს სამოქალაო კოდექსის ზოგად ნაწილში.* თბილისი: 352.

საქორწინო ხელშეკრულებას უნდა გააჩნდეს ნებისმიერი ხელშეკრულებისათვის აუცილებელი რეკვიზიტები (ხელშეკრულების დადების ადგილი და თარიღი, იმ პირთა ვინაობა და საცხოვრებელი ადგილი, რომელთა შორისაც იდება ხელშეკრულება, ხელშეკრულების შინაარსი და ხელშეკრულების მხარეთა ხელმოწერები).[16] საქორწინო ხელშეკრულების ძირითადი ნაწილია მისი შინაარსი, რომელშიც გადმოცემულია მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობის ყველა ნიუანსი. შინაარსი შეიძლება შედგებოდეს რამოდენიმე ნაწილისაგან, რომელსაც გააჩნია სხვადასხვა ფუნქციური დატვირთვა.

რაც შეეხება ხელშეკრულების ძირითად ნაწილს, მასში შეიძლება განისაზღვროს მეუღლეთა ერთად ცხოვრების პერიოდში შეძენილი ქონების ცალკეული სახეების რეჟიმი. სანოტარო წესით დამოწმებული ერთი ეგზემპარი რჩება სანოტარო ორგანოში, ხოლო თითო-თითი კი გადაეცემათ ხელშეკრულების მონაწილე მეუღლეებს. საქორწინო ხელშეკრულება არის სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგების ნაირსახეობა და მისი ნამდვილობისათვის სხვა პირობებთან ერთად აუცილებელია მეუღლეები იყვენენ სამართალსუბიექტურნი, რაშიც იგულისხმება სრული ქმედუნარიანობა, რომელიც იწყება 18 წლის ასაკიდან.

საქორწინო ხელშეკრულებით მეუღლეები თავიანთი შეხედულებისამებრ ანაწილებენ ერთმანეთში ქონებრივ უფლება-მოვალეობებს. სამოქალაქო კოდექსი ხელშეკრულების მონაწილეებს სთავაზობს უფლება-მოვალეობათა განხორციელების შესაძლო მიმართულებებს. კოდექსი ადგენს აგრეთვე მათი შეზღუდვის საფუძვლებს. საქორწინო ხელშეკრულებით შესაძლებელია მეუღლეთა ქონებრივი უფლება-მოვალეობებით შეზღუდვა განსაზღრული დროით ან რომელიმე პირობის დადგომით.

სხვა საფუძვლით მათი შეზღუდვა არ შეიძლება. ვადით შეზღუდვას მაშინ ექნება ადგილი, როდესაც საქორწინო ხელშეკრულება იდება განსაზღრული დროით. კანონი ზუსტად არ მიუთითებს იმ პირობებზე, რომელიც შეიძლება საფუძვლად დაედოს

[16]თ. ზარდანია, ლ. (თბილისი). *ტიპიური ხელშეკრულების ნიმუშები.* 2006.270.

მეუღლეთა ქონებრივ უფლებამოვალეობათა შეზღუდვას. ასეთი პირობების განსაზღვრა მეუღლეთა კომპეტენციაში შედის.საქორწინო ხელშეკრულება რეგულირების შესაძლებლობით მოიცავს მეუღლეთა შორის არსებული ქონებრივი ურთიერთობის თითქმის ყველა სფეროს. მეუღლეთა ქონების სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრა მთლიანად დამოკიდებულია მათ ნებასურვილზე. ამ მხრივ კანონის მხრიდან არავითარი შეზღუდვა არ არსებობს. [17] რაც შეეხება მეუღლეთა ქონებრივ უფლება-მოვალეობათა სხვა სახეებს, მათ მიმართ კანონი განსაზღრულ სიფრთხილეს იჩენს, რაც მეუღლეთა და ოჯახის სხვა წევრთა ინტერესების დარღვევის თავიდან აცილების მიზნითაა განპირობებული. საქორწინო ხელშეკრულებით არ შეიძლება მეუღლეთა სურვილის მიხედვით შეიცვალოს კანონით დადგენილი ურთიერთრჩენის ვალდებულება. რადგან, მის შეცვლას ყოველთვის შეიძლება მოჰყვეს ერთ-ერთი მეუღლის ან ორივეს მატერიალური მდგომარეობის გაუარესება.

არ შეიძლება მშობლები შეთანხმდენ იმაზე, რომ შვილები არჩინოს და აღზარდოს მხოლოდ ერთ-ერთმა მეუღლემ, ხოლო ამ დროს მეორე სრულებით გამოთავისუფლდეს მშობლის უფლებამოსილებისაგან. საქორწინო ხელშეკრულებით, არ შეიძლება გათვალიწინებულ იქნეს მხარეთა შორის დავის შემთხვევაში, მის გადასაწყვეტად სასამართლოსადმი მიმართვის კანონით განსაზღრული უფლების შეცვლა, რადგან აღნიშნული ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა შესახებ კონსტიტუციურ პრინციპებსა და დებულებებს. კანონი ზუსტად განსაზღვრავს იმას, რომ არ შეიძლება საქორწინო ხელშეკრულებით ისეთი პირობების გათვალისწინება, რომელიც მძიმე მატერიალურ და ზნეობრივ მდგომარეობაში ჩააყენებს ერთ-ერთ მეუღლეს.

აღნიშნული დათქმა სავალდებულოა ორივე მეუღლისათვის. იმ შემთხვევაში, როდესაც კანონის ეს მოთხოვნა არ სრულდება, შეიძლება იგი ხელშეკრულების შეწყვეტის ან გაბათილების საფუძველი გახდეს. ასეთი მდგომარეობის თავიდან აცილების მიზნით, კანონი ითვალისწინებს საქორწინო ხელშეკრულების შესრულების პროცესში სასამართლოს აქტიურ ჩარევას. კერძოდ კი, დაინტერესებული მეუღლის

[17] შ.,. *საოჯახო სამართალი.* თბილისი: გამომცემლობა "თბილისი"2004.78

თხოვნის საფუძველზე სასამართლოს შეუძლია შეცვალოს ის პირობები, რომელთა შესრულებაც უკიდურესად არახელსაყრელ მგომარეობში აყენებს მას.საქორწინო ხელშეკრულება, ისევე როგორც ნებისმიერი შეთანხმება მხარეთა შორის არის ნებელობიტი აქტი. ამიტომ, მისი დადებაც და შეწყვეტაც მეუღლეთა ნებასურვილზეა დამოკიდებული.[18]

§ 4. დაქორწინების პირობები

დაქორწინების ძირითადი პირობებია: დასაქორწინებელ პირთა თანხმობა და საქორწინო ასაკი.[19]

ისტორიულად აღნიშნული საკითხი წყდებოდა არა დასაქორწინებელი პირების, არამედ მათი კანონიერი წარმომადგენლების (მშობლების) თანხმობით. ძველი ისტორიული წყარო ,,ძეგლისწერა'' მიუთითებს, რომ ქორწინებისათვის უფრო ხშირად ქალ-ვაჟის მშობლები ირჯებოდნენ, ვიდრე თვითონ დასაქორწინებელი პირები, ე.ი. ქორწინება განსაკუთრებულ არაფერს წარმოადგენდა და მშობლების ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული და არა საქმროს სიძლიერესა და სიყოჩაღეზე; ქალს საქმროს მშობლები თხოულობდნენ თავიანთი შვილებისათვის, ხოლო ქალ-ვაჟი, როგორც ჩანს, მოლაპარაკებებში არც კი ერეოდა. ასე გრძელდებოდა XII საუკუნის დამდეგამდე, ვიდრე მშობელთა თანხმობამ არ მიიღო ქორწინებისათვის მხოლოდ ფორმალური თანხმობის სახე და გადამწყვეტი მნიშვნელობა არ მიენიჭა ქალისა და ვაჟის ნებას.

თანამედროვე საქორწინო-საოჯახო კანონმდებლობამ დასაქორწინებელ პირთა თანხმობა კონსტიტუციურ პრინციპად მიიჩნია და მისი არარსებობა ქორწინების ბათილად ცნობის საფუძვლადაც კი ცნო.

ჩვენს ქვეყანაში დაქორწინების დროს სიყვარულსა და მეგობრობის ჭეშმარიტად ადამიანურ გრძნობაზე დამყარებულ ნება-სურვილის თავისუფლად გამოხატვა

---

[18] თ. ზარდანია, ლ. (თბილისი). *ტიპიური ხელშეკრულების ნიმუშები.* 2004.19

[19] ჭანტურია, ლ. *საქართველოს სამოქალაქო კოდექსი წიგნი მეხუთე.* თბილისი: სამართალი.2000.27

უზრუნველყოფილია საზოგადოების ეკონომიკურ და პოლიტიკური წყობით, ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში მამაკაცისა და ქალის უფლება, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, რასობრივი, ეროვნული ან რელიგიური კუთვნილების მიუხედავად, დაქორწინდნენ და შექმნან ოჯახი მოქმედი კანონმდებლობის შესაბაისად, რომელიც არეგურილებს აღნიშნული უფლების განხორციელებას, წარმოადგენს საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპს.

ქორწინების სახელმწიფოებრივი რეგულირება გულისხმობს ქორწინების პირობების განსაზღვრას. საოჯახო კანონმდებლობით მნიშვნელოვნადაა განმარტივებული ქორწინების და განქორწინების წესი და პირობები, არასდროს დადგება ის დრო აბათ როცა დაქორწინებისასა ყურადღება არ მიექცევა მექორწინეთა მინიმალურ ასაკსა და ურთიერთთანხმობას, უახლოეს ნათესავებს შორის ქორწინების აკრძალვას. სწორედ ასეთ პირობებს აწესებს მოქმედი კანონმდებლობა ქორწინების ნამდვილობისათვის.

ქორწინების პირობები ორ ჯგუფად იყოფა: პოზიტიუირი პირობები, რომელთა არსებობის დროს დასასვებია ქორწინების რეგისტარცია და ნეგატიური პირობები, რომელთა არსებობა ქორწინების დამაბრკოლებელ გარემოებას წარმოადგენს. ასაქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1107-ე მუხლი მიხედვით დაქორწინების პოზიტიური პირობებია საქორწინო ასაკი და დასაქორქინებელ პირთა თანხმობა. ეს ისეთის პირობებია, რომელთა გარეწშეც დაქორწიენა შეუძლებელია და აღნიშნული პირობების დაცვა , ოღონდ არაერთგვარი გაგებით , სავალდებულოდაა მიჩნეული თიტქმის ცივილიზებულ ქვეყნების კანონმდებლობით.

როგორც ავღნიშნეთ ქორწინებისათის აუცილლებელია, რომ მექორწინეები გასნაზღვრულ ასკას იყვნენ მიღწეული, საქორწინო ასაკად საქართველოში დადგენილია 18 წელი როგროც ქალებისთვსი ასევე მამაკაცებისთვის.

საქორწინო ასაკი სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვანაირად რეგულირდება. ათეულობით ქვეყანაში მინიმალურ საქორწინო ასაკი საერთოდ 12 წელი, ზოგიერთ ქვეყანში არ არის გასნაზღვრული , საქართველოს ისტორიიდან ცნობილია დაქორწინება შედარებით დაბალი ასაკიდან. 1103 წლის რუსი-ერბნისის საეკლესიო

კრების ნორმების საფუძველზე იგულისხმება რომ ფართოდ იყო გავრცელებული არასრულწლოვანთა დაქორწინება. ამ ძეგლის მიხედვით ქალ-ვაჟთა დანიშვნა შესაძლებელია ადრეულ ასაკში , მაგრამ დაქორწინება კი ქალისათვის მხოლოდ 12 წელიდან იყო მიჩნეული ,ვაჟები 15 ასაკიდან ქორწინდებოდნენ. საეკლესიო სამაღთლის ეს მოთხოვნა დამკვიდრადა საერო კანონმდებლობაშიც.

კანონი მხოლოდ მინიმალურ ასაკს გასაზღვრავს რაც შეეხება ქორწინების დამაბრკოლებელ გარემოებებს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1120-ე მუხლში ზუსტადაა განსაზღრული ის გარემოებები, რომელთა არსებობაც ქორწინებისათვის ითვლება ხელის შემშლელად და ქორწინება არ დაიშვება.

ასეთ გარემოებათა გამო ქორწინების აკრძალვა დაკავშირებულიაორის განსაკუთრებით აღსანიშნავია, ერთქორწინების პრინციპი. არ შეიძლება ქორწინების რეგისტრაციაში გატარდეს ის პირი, რომელიც უკვე იმყოფება სხვა ქორწინებაში. ახალი ქორწინება შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ ადრინდელ მეუღლესთან განქორწინების შემდეგ. ერთქორწინების პრინციის განხორციელებას დიდი მნიშვნელობა აქვს ჯანსაღი და მტკიცე ოჯახის შექმნისათვის. ორცოლიანობა ან მრავალცოლიანობა მიუღებელია, როგორც კანონონით, ასევე ზნეობრივადაც.

საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ხელმეორედ დაქორწინებისას პირთა შეზღუდვას გარკვეული ვადით, მაშინ როდესაც ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში ასეთი ვადა დადგენილია კანონმდებლობით. მაგალითად, დანიაში „სამგლოვიარო ვადად“ მამაკაცისათვის დადგენილია 3თვე, ხოლო ქალისათვის ერთი წელი.

სარეგისტრაციო ორგანოსათვის ძნელია ქორწინების რეგისტრციის დროს მამაკაცის ნამდვილი სამომავლო განზრახვის ამოცნობა, ამიტომ მისი როლი მსგავსი ფაქტების აღმოფხვრაში მინიმალურია.

სარეგისტრაციო ორგანოს ამოცანაა დარწმუნდეს, რომ პირი არ იმყოფება რეგისტრირებულ ქორწინებაში სხვასთან. ერთქორწინების პრინციპიდან გამომდინარე, პირს სრულწლოვანების შემდეგ ყოველთვის შეუძლია დაქორწინება თუ იგი სხვასთან არ იმყოფება ქორწინებაში. ამიტომ, როცა პირი ხელახლა ქორწინდება მან აუცილებლად უნდა წარადგინოს ადრინდელი ქორწინების

განქორწინების დამადასტურებელი საბუთი. თუ ქორწინება შეწყდა იმის გამო, რომ ერთ-ერთი მეუღლე გარდაიცვალა, იგულისხმება რომ ქორწინება შეწყვეტილია. ერთქორწინების ფორმალური პირობების დაცვის შემდეგ შესაძლებელია ქორწინებისრეგისტრაციაში გატარება.

საქორწინო სამართლის ძირითადი პრინციპების განუხრელად დაცვის აუცილებლობისათვის. მათ, ქორწინების მაქსიმალური ასაკი განსაზღვრული არ არის. სრულწლოვან პირს ნებიმიერ ასაკში შეუძლია დაქორწინება, თუ იგი ნამდვილად ოჯახის შექმნის მიზნით ხდება. არ არის განსაზღვრული აგრეთვე თუ რა ასაკობრივი სხვაობა უნდა იყოს მომავალ მექორწინეებს შორის. კრძალულია დაქორწინება პირდაპირი ხაზის ყველა ხარისხის ნათესავებს შორის.

კერძოდ კი, პაპა -ბებიას, მშობლებს, შვილებსა და შვილიშვილებს შორის. რაც შეეხება გვერდითი ხაზის ნათესავების სიას, აქ მხოლოდ ყვლაზე ახლო ხარისხის ნათესავები მოიაზრებიან- დებსა და ძმებს შორის იკრძალება ქორწინება. ახლო ნათესავებს შორის ქორწინების აკრძალვა ემყარება არამარტო ზნეობრივ ნორმებს, არამედ მომავალი თაობის ჯანმრთელობის დაცვას. ახლო ნათესავებს შორის ქორწინება, სისხლის აღრევა უარყოფითად მოქმედებს მომავალი თაობის ჯანმრთელობაზე.

მთელი რიგი ქვეყნების კანონმდებლობა კრძალავს ქორწინებას იმ პირთა შორის, რომლებიც ნათესაობის ისეთ ხარისხში იმყოფებიან, რომლებიც სახიფათოა შთამომავლებისათვის. მაგალითად, ბულგარეთისა და საფრანგეთის საოჯახო

კოდექსით არ დაიშვება დაქორწინება არა მხოლოდ პირდაპირი შტოს ნათესავებს შორის, არამედ გვერდითი შტოს ნათესავებს შორისაც.

საფრანგეთის კანონმდებლობით აკრძალულია დაქორწინება ბიძაა და ძმისწულებს შორის. ამგვარი პრაქტიკის მიუხედავად, საქართველოს სამოქალქო კოდექსში არ იქნა ასახული ახლო ნათესავებს შორის, რომლებსაც მოიცავს დეიდაშვილის, მამიდაშვილის, ბიძაშვილის, ბიძებისა და დიშვილების, ძმიშვილების, დეიდებისა და დისშვილების, მამიდასა და ძმისშვილების და სხვათა ქორწინებამ, როგორც ქორწინების დამაბრკოლებელმა გარემოებამ.

ჩვენი აზრით, აუცილებელია ჩვენს კანონმდებლობაშიც იქნას დამატება შეტანილი აღნიშნული თემით, ვანაიდან თავიდან იქნეს აცილებული შთამომავლობისათვის არასასურველი შედეგები.

რაც შეეხება მშვილებელსა და ნაშვილებს შორის ქორწინების აკრძალვას, იგი განპირობებულია მათ შორის არა სისხლით ნათესაური კავშირით, არამედ ბიოლოგიურ მშობლებსა და შვილებს შორისარსებული ურთიერთობის სამართლებრივად მათთან გათანაბრების ფაქტით

საქართველოში დემოგრაფიიუილი მდგომარეობის გაუმჯობესებიდან გამომდინარე დგება საკითხი მინიმალური საქორწინო ასაკის კდიევ უფრო შემცირების შესახებ ,

რათა გაიზრადოს ქქორწინებათა რიცხვი ქორწინებისათვის აუცილებელ და გადამწყვეტ პირობებას წარმაოდგენს მომავალი მეუღლეთა ურთიერთთანხმობა , ამ პირობებში თავის გამოხატულებას პოულობს დაქორწინების ნებაყოფლობის პრინციპი . ორწინება, მისი განსაზღვრებიდან გამომდინარე, ატარებს რა სამისდღემშიო ხასიათს, არ ნიშნავს იმას, რომ მისი შეწყვეტა დაუშვებელია. ამიტომ, განქორწინება, როგორც ქორწინების თანმხლები მოვლენა, გამომდინარეობს ოჯახის წინააღმდეგობრივი ბუნებიდან, რომელსაც მისი სოციალური ხასიათის გამო აქვს დადებითი და უარყოფითი მხარეები. განქორწინება ქმნის მნიშვნელოვან ცხოვრებისეულ სიძნელეებს მეუღლეებისათვის, განსაკუთრებით ბავშვებისათვის. მისი შედეგები მძიმე ტრამვად რჩება ცხოვრების მთელ მანძილზე მათთვისაც კი, ვისი ინიციატივითაც მოხდა იგი.

თუმცა აღსანიშნავია, განქორწინების დადებითი მხარეები, რაც უკავშირდება პიროვნების თავისუფლების გარანტიას.

მიუხედავად იმისა, რომ ქართული სამართლის ძეგლები კრძალავდა განქორწინებას, კანონი იძულებული იყო ზოგიერთ შემთხვევაში დაეშვა იგი. შუა საუკუნეების საქართველოში ასეთი შესაძლებლობა მამაკაცს უფრო ქონდა ქალთან მიმართებაში. ძველი ქართული სამართალი დანაშაულის სუბიექტად მიიჩნევდა არა მარტო ცოლს და ქმარს, რომლებმაც გადაწყვიტეს განქორწინება, არამედ მესამე პირსაც, ვისი მიზეზითაც მოხდა განქორწინება.

ასეთი იყო მაგალითად მამაკაცი, რომელიც კაცს წაართმევდა ცოლს და უზნეობის ხელშემწყობი „ცუდი დედაკაცი“, რომლის წაძახება-დაბეზღებით ოჯახი იშლებოდა. იქიდან გამომდინარე, რომ ძველი ქართული სამართალი ოჯახის სიმტკიცის სადარაჯოზე იდგა, იგი დამნაშავედ მიიჩნევდა ყველას, ვისაც კი წვლილი ედო ოჯახის დაშლაში აღნიშნულიდან გამომდინარე, განქორწინება თავისთავად ცივილიზაციისა და კულტურის მნიშვნელოვან ოჯახის განმტკიცება ნიშნავს არა ყოველგვარი ქორწინების შენარჩუნებას, არამედ მხოლოდ იმისას, რომელიც ღრმად გააზრებულ ადამიანურ გრძნობებს ეფუძვნება. განქორწინება აუცილებელიც კი არის იმ შემთხვევაში, როდესაც დადგინდება, რომ მეუღლეთა შემდგომი ერთად ცხოვრება, ოჯახის შენარჩუნება შეუძლებელია. ისეთი ქორწინების შეწყვეტა, რომელსაც საფუძვლად აღარ უდევს მეუღლეთა შორის სიყვარული და მეგობრობის მაღალი განცდა, შეესაბამება არა მარტო ქორწინებაში მყოფი პირები, არამედ საზოგადოების ინტერესებსაცმონაპოვრად ითვლებანების თავისუფალი გამოვლინება მარტო დაქორწინების კი არა , მთელი ოჯახის სიმტკიცის ფორმულაა. [20]რაც შეეხება ცოცხალ მეუღლეებს შორის განქორწინების შეწყვეტას, აღნიშნული ხორციელდება განქორწინების საფუძველზე. განქორწინების თავისუფლების საკითხი ისტორიულად სხვადასხვანაირად წყდებოდა. საქორწინო გარიგების მოშლა ყოველთვის იყო შესაძლებელი, ცივილიზებულ სახელმწიფოთა უმრავლესობაში განქორწინების თავისუფლებაა დამკვიდრებული. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ განქორწინების თავისუფლება არ ნიშნავს იმას, რომ იგი შესაძლებელია ნებისმიერ დროს და ნებისმიერი საფუძვლით.

პირიქით, განქორწინება დაიშვება და მისი პროცესის გამარტივება საოჯახო სამართლებრივ სუბიექტების უფლება მოვალეობათა რეალური განხორციელების გარატიებით უნდა იყოს განპირობებული. განქორწინება დასაშვებია არამარტო სასამართლოს მეშვეობით, არამედ უფრო მარტივადაც, კერძოდ კი განქორწინება ადმინისტრაციული წესით, რომელიც ხორციელდება სახელმწიფო სარეგისტრაციო ორგანოში. შედეგების მიხედვით განქორწინების ორივე წესი ერთნაირია. ორივე

[20]შენგელია რ., შ. ე. (მერიდიანი). *საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი.* თბილისი: 2009.83

შემთხვევაში მეუღლეებს შორის წყდება ადრე არსებული საქორწინო ურთიერთობა. კანონის მიხედვით, ცოლს ყოველთვის შეუძლია მოითხოვოს განქორწინება, მაშინ როდესაც ქმარი, რომლის ცოლიც ორსულადაა, ან ერთ წლამდე ასაკის ბავშვის მამა განქორწინებაზე თანხმობას მიიღებს მაშინ, როდესაც ორსული ცოლი ან ჩვილი ბავშვის დედა ამაზე თანხმობას განაცხადებს.

მეუღლეთა განქოწინება სახელმწიფო სარეგისტრაციო ორგანოში შეიძლება მოხდეს ორ შემთხვევაში:

1. როცა მეუღლეები არ დაობენ, ორივე თანახმაა განქორწინებაზე და შეაქვთ ერთობლივი განცხადება განქორწინების შესახებ;

2. როცა განქორწინებას ითხოვს ერთ-ერთი მეუღლე კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში; სახელმწიფო სარეგისტრაციო ორგანო არ არის ვალდებული გამოარკვიოს მიზეზები, რამაც მეუღლეები მიიყვანა განქორწინების აუცილებლობამდე, ანდა მათ შესარიგებლამიიღოს რაიმე ზომები.

ხოლო მეუღლეები, როდესაც განქორწინების განცხადებით მიმართავენ სარეგისტრაციო ორგანოს, ვალდებულნი არიან განცხადებაში მიუთითონ, რომ ერთმანეთის მიმართ არ აქვთ პრეტენზიები და თანახმანი არიან განქორწინებაზე. სარეგისტრაციო ორგანო განქორწინების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ერთთვიან ვადაში. თუმცა, სახელმწიფო სარეგისტაციო ორგანოში განქორწინების დაფიქსირება არ ნიშნავს ქორწინების შეწყვეტას, ვინაიდან, ქორწინება შეწყვეტილად ჩაითვლება სახელმწიფო სარეგისტრაციო ორგანოში მისი რეისტრაციის მომენტიდან. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1125-ე მუხლის მიხედვით,

სარეგისტრაციო ორგანოში განქორწინება შესაძლებელია ერთ-ერთი მეუღლის განცხადების საფუძველზე. ასეთი უფლებების განხორციელება შესაძლებელია სამ შემთხვევაში:

1). თუ მეორე მეუღლე კანონით დადგენილი წესით აღიარებულია უგზო-უკვლოდ დაკარგულად,

2). თუ სულით ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობის გამო აღიარებულია მხარდაჭერის მიმღებად (ქმედუუნაროდ),

3). სასამართლოს მიერ მსჯავრდებულია დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთითარანაკლებსამი წლისა. (შენგელია რ., მერიდიანი)[21]

§5. ქორწინების დამადასტურებელი გარემოებები

თანამედროვე ქართულ ოჯახს, სიყვარულის ნიადაგზე ქორწინება და ოჯახის წევრთა თანასწორობა უდევს საფუძვლად, რომლის გარანტიასაც ქართული ოჯახის სიმტკიცე წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ სწორედ ოჯახში წარმოშობილი ურთიერთობები ის ობიექტია, რაზედაც მიმართულია საოჯახო სამართალი, ე.ი. ისინი წარმოადგენენ სამართლის ამ დარგის კვლევის საგანს და არა მხოლოდ მისას, რამდენადაც ეს ურთიერთობები თავისი სპეციფიკური ხასიათიდან გამომდინარე უყურადღებოდ არ დარჩენია სამათლის სხვა დარგებსაც.სასამართლო ვალდებულია მთელი სერიოზულობით შეისწავლოს ის მიზეზები, რომლებსაც მეუღლეები განქორწინების საფუძვლად თვლიან და მიიღოს ზომები მეუღლეთა შესარიგებლად.

ამ მიზნით შესაძლებელია საქმის განხილვის გადადება და მეუღლეებისათვის შესარიგებელი ვადის მიცემა. ასეთი ვადა არ უნდა აღემატებოდეს ექვს თვეს. საამართლომ მხოლოდ მას შემდეგ უნდა გამოიტანოს გადაწყვეტილება, რაც დარწმუნდება რომ, ოჯახიფაქტიურად „დანგრეულია“, ყველა საშუალება იქნა გამოყენებული მის გადასარჩენად, თუმცა მეუღლეთა შერიგება შეუძლებელია. განქორწინების საქმე სასამართლოში განიხილება საჯაროდ, თუმცა არის გამონაკლისი შემთხვევებიც, როცა განხილვა მიმდინარეობს დახურულ სხდომაზე, ეს მაშინ, როდესაც, მეუღლეები აღნიშნული თხოვნითმიმართავენ სასამართლოს. ამან

[21] რ. შენგელია, ქორწინება და მეუღლეთა უფლება-მოვალეობანი,. თბილისი1999.39

განაპირობა ზოგიერთი საოჯახო ინსტიტუტის შემადგენელ საკითხთა სამოქალაქო სამართლის მომეტებულად განხილვა.

კერძოდ, ფიზიკურ პირთა უფლება–ქმედუნარიანობა, პასუხისმგებლობა, მეუღლეთა თანასაკუთრება, ურთიერთრჩენის ვალდებულება, საქორწინო კონტრაქტი და სხვა ამდაგვარი საკითხები–რამდენადაც ოჯახში წარმოშობილი ურთიერთობები ხშირ შემთხვევაში სამართლებრივ ხასიათს ატარებს, მეცნიერთა წინაშე დღის წესრიგში დადგა გაერკვიათ თვითონ ოჯახის სამართლებრივი ბუნება, მოქმედი საქორწინო–საოჯახო კანომდებლობა განამტკიცებს მხოლოდ საოჯახო ურთიერთობის პრინციპებს.

ოჯახის შექმნის ძირითადი საფუძველია ქორწინება. ეს არის ოჯახის შექმნის მიზნით ქალის და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირი, რომელიც რეგისტრირებულია სახლემწიფო ორგანოში (ქორწინება ეს არის ურთიერთ სიყვარულსა და პატივისცემაზე დაფუძვნებული, სამიდღემშიო კავშირი, რომელიც მიზნად უნდა ისახავდეს ბავშვის დაბადებას და აღზრდას).

განქორწინების მსურველი მეუღლეები, ჩვეულებრივ, წინასწარ თანხმდებიან იმის თაობაზე, თუ ვისთან იცხოვრებდნენ მათი არასრულწლოვანი შვილები და რომელი მშობელი რა რაოდენობით გადაიხდის ალიმენტს.

შვილებთან დაკავშირებული ყოველგვარი დავის გადაწყვეტისას აუცილებელია საქმეში ჩართული იქნეს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო

მეუღლეთა უფლება–მოვალეობებს წარმოშობს მხოლოდ რეგისტრაციის სახელმწიფო ორგანოში გაფორმებული ქორწინება. ამ წესთან კანონი ათანაბრებს ქვეყნის ფარგლებს გარეთ მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეების ქორწინებას საქართველოს საელჩოებში ან საკონსულოებში.

ააღიარებულია ის ქორწინება, რომელიც დარეგისტრირებულია მხოლოდ სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში, იგი წაროშობს დაქორწინებულთა შესაბამის უფლება–მოვალეობებს.

საოჯახო სამართლის თეორიაში დღემდე ჭარბობს შეხედულება იმის შესახებ, რომ ქორწინება არის მამაკაცისა და ქალს შორის თავისუფალი, ნებაყოფლობითი და თანასწორუფლებიანი კავშირი ოჯახის შექმნის მიზნით, რომელიც დამყარებულია ურთიერთსიყვარულისა და პატივისცემის გრძნობებზე, რეგისტრირებულია სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში და წარმოშობს მეუღლეთა ურთიერთუფლება მოვალეობებს. ლიტერატურაში მოყვანილია ზოგიერთი კორექტივებით.მაგალითდ, ო. ხოზოვა ქორწინების ქვეშ გულისხმობს ადრე მოქმედი საქორწინო-საოჯახო კანონმდებლობა არ იძლეოდა ქორწინების ცნების განსაზღვრას.

კანონში მისი შეტანა შეუძლებლად იყო მიჩნეული იმის გამო, რომ იგი ვერ ამოწურავდა მისი იურიდიული და ზნეობრივი მნიშვნელობის მქონე ნიშანს-თვისებებს. გ. შერშენევიჩის მიერ ჯერ ადრე მოქმედი საქორწინო-საოჯახო კანონმდებლობა არ იძლეოდა ქორწინების ცნების განსაზღვრას. კანონში მისი შეტანა შეუძლებლად იყო მიჩნეული იმის გამო, რომ იგი ვერ ამოწურავდა მისი იურიდიული და ზნეობრივი მნიშვნელობის მქონე ნიშან-თვისებებს.

მ გ. შერშენევიჩის მიერ ჯერ კიდევ საუკუნის დასაწყისში მოცემული ქორწინების ცნების განსაზღვრა იურიდიული თვალსაზრისით, როგორც მამაკაცისა და ქალის კავშირისა ერთობლივი თანაცხოვრების მიზნით, რომელიც ემყარება ურთიერთთანხმობას და განხორციელებულია დადგენილი ფორმით – მთლიანობაში შეიცავდა იმ ძირითადი პირობების ერთობლიობას, რომელთა არსებობისას ,,სხვადასხვა სქესის წარმომადგენელთა ერთობლივი თანაცხოვრება იძენს კანონიერ ხასიათს, ე.ი. მას მოჰყვება კანონიერი ქორწინებისათვის დამახასიათებელი ყველა შედეგი''. შემთხვევითი არ არის, რომ გ. შერშენევიჩის მიერ შემოთავაზებული ქორწინების ცნება განმსაზღვრელი გახდა შემდგომში ქორწინების, სწორედ როგორც ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირის შესახებ შეხედულებათა დასაბუთებისათვის.

იურიდიულ ლიტერატურაში არსებობდა მოსაზრება იმის შესახებ, რომ ქორწინება, როგორც ოჯახის შექმნის მიზნით მამაკაცის და ქალის კავშირი, უნდა ატარებდეს სამისდღეშიო ხასიათს. ამგვარი პოზიცია ეფუძვნება ვარაუდს იმის შესახებ, რომ ოჯახის ერთ-ერთ ძირითად მიზანს უნდა წარმოადგენდეს ბავშვების დაბადება და

გაზრდა. ამასთან, დაქორწინების, მამაკაცისა და ქალის დამახასიათებელი იყო არა მარტო საბჭოთა საოჯახო სამართლისათვის, არამედ ასახვს პოულობდა საზღვარგარეთის ზოგიერთ ქვეყნის კანომდებლობაში, სადაც გათვალისწინებული იყო სამისდღეშიო ქორწინების შეახებ ნორმები, თუმცა განქორწინებათა მნიშვნელოვანი რაოდენობის გამო, ატარებდა უფრო ეთიკურ-მორალურ, ვიდრე იმპერატიულ ხასიათს ქორწინების, როგორც სამისდღეშიო კავშირის (life-long marriage) შესახებ თეზისის პრაქტიკული სისუსტე გახდა უკანასკნელი ათწლეულთა მანძილზე ზოგიერთ ქვეყანაში ქორწინება-ამხანაგობის (partnershipi), როგორც ქორწინების ფორმის გავრცელების გამო.

სამისდღეშიო ქორწინების პრინციპი ატარებს უფრო სასურველ, ვიდრე ფაქტრობრივ ხასიათს. აღსანიშნავია, რომ თანამედოვე საოჯახო სამართალი მოითხოვს ახალ, ეროვნული იურიდიული მეცნიერებისათვის არატრადიციულ შეხედულებებს ქორწინებაზე, რომელიც პრინციპულად განსხვავდება ადრე არსებულთაგან. მაგალითად, მ. ანტოკოლსკაიას ქორწინების, როგორც ხელშეკრულების, საიდუმლოებით მოცემული მოვლენისა და განსაკუთრებული ინსტიტუტის (sui generic) შესახებ სამართლებრივი თეორიების თანმიმდევრულად გამოკვლევისას მიდის იმ დასკვნამდე, რომ ,,დაქორწინების შესახებ შეთანხმება რეგულირდება სამართლით და წარმოშობს სამართლებრივ შედეგს, იგი წარმოადგენს ხელშეკრულებას''.

თუმცა მისივე თქმით, დაქორწინების მიზანი მდგოარეობს არა მარტო საქორწინო სამართალურთიერთობის წარმოშობაში, არამედ აგრეთვე ისეთი კავშირის შექმნაში, რომელიც ემყარება სიყვარულს, პატივისცემას, ურთიერთდახმარებას, მხარდაჭერას და ა.შ.

ზემოთქმულ საშუალებას გვაძლევს ავღნიშნოთ, რომ აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, ქორწინების შეხედულებათა უმრავლესობა ძირითადად ემთხვევა ერთმანეთს. აქედან გამომდინარე, მეცნიერებმა პრაქტიკასა და დაგროვილი თეორიული ცოდნის განზოგადების საფუძველზე შეძლეს ჩამოეყალიბებინათ ქორწინების ცნება, რამაც პირველად პოვა ასახვა საქართველოს სამოქალაქო კოდექსში. სამართლის მეცნიერება ქორწინების ცნების განსაზღვრისას გამოდის

იქიდან, რომ ქორწინება არის ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირი, რომელიც რეგისტრირებულია სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში (სამოქალაქო კოდექსის 1106 მუხლი).

ქორწინება ნიშნავს, სანახევროდ შეამცირო საკუთარი უფლებები და ორმაგად გაზარდო შენივე მოვალეობები, ამიტომ, ოჯხის შექმნისას, დასაქორწინებელი პირები უნდა ხელმძღვანელობდნენ თავიანთი გულისა და გონების კარნახით, ადამიანის და საკუთარი თავის მიმართ პასუხისმგებლობისა და სერიოზული დამოკიდებულების გრძნობით. მტკიცე და ბედნიერი ოჯახის შესაქმნელად კი აუცილებელია, რომ დასაქორწინებელმა პირმა დაიცვას ქორწინებასთან დაკავშირებული კანონის მოთხოვნები. ქორწინების ცნებაში ხაზი აქვს გასმული, რომ ქორწინება არის ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირი.

შვილების შესახებ დავების განხილვისას სერიოზულ სიძნელეებს უკავშირდება ის მომენტი, როდესაც განქორწინების მომთხოვნ მეუღლეებს რამოდენიმე შვილი ჰყავთ, რადგან გასათვალისწინებელია ბავშვების დაშორების მომენტი. იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი იმის შესახებ, რომ ბავშვების დაშორება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მშობელს, რომელთანაც ბავშვები იზრდებიან არ აქვს შესაძლებლობა შეუქმნას აღზრდის ნორმალური პირობები. ბავშვის განცალკევებას შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს ისევ და ისევ მხოლოდ ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით.თუმცა, ყურადღების მიღმა არ უნდა დაგვრჩეს ის გარემოება, რომ არსებობს ქვეყნები, სადაც კანონმდებლობით დაშვებულია ერთი სქესის პირებს შორის ქორწინების რეგისტრაცია (დანია, ნორვეგია, საფრანგეთი და შვეცია).ამ ქვეყნებში უკანასკნელ წლებში მიღებულია სპეციალური კანონები, რომლებიც ნებას რთავენ ერთი სქესის ადამიანების ქორწინების რეგისტრაციისათვის.

განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობის მიდგომას განქორწინებისადმი. ამ თვალსაზრისით, მსოფლიოს განვითარებული ქვეყნები შესაძლებელია დავყოთ სამ ჯგუფად.

1. პირველ ჯგუფს განეკუთვნებიან სახელმწიფოები, რომლებიც მეუღლეთა სიცოცხლეში კრძალავენ განქორწინებას. მხოლოდ მეუღლის გარდაცვალების ან სასამართლოს მიერ გარდაცვლილად გამოცხადების ფაქტს შეუძლია შეწყვიტოს ქორწინება.

ასეთი მიდგომის ქვეყნებს მიეკუთვნებიან: ირლანდია, ვატიკანი, ჩილე, ესპანეთი.

2. მეორე ჯგუფს განეკუთვნებიან ქვეყნები, რომელთა კანონმდებლობაც უშვებს განქორწინების შესაძლებლობას, თუმცა განსაზღრული საფუძვლების ფარგლებში. ამ ფარგლებს მოიცავს ისეთი ქმედებები როგორიცაა, მეუღლეთა ღალატი, მძიმე შეურაცხყოფა, თვით მეუღლეთა თანხმობა განქორწინებაზე და სხვა.

ამ ჯგუფის ქვეყნებს განეკუთვნება დანია, ნორვეგია, მექსიკა, იაპონია, აშშ-ს ზოგიერთი შტატი.

3. მესამე ჯგუფს განეკუთვნება სახელმწიფოების მრავალრიცხოვანი კატეგორია. აღნიშნულ ქვეყნებში განქორწინების მიზეზებს არ არის მიკუთვნებული მეუღლეთა თანხმობა განქორწინებაზე.

სამხედრო სამსახურისაგან თავის დაღწევის სურვილი და სხვა). მაგრამ, იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთ მათგანს გულწრფელად ჰქონდა ოჯახის შექმნის სურვილი და არაფერი იცოდა მეორის ნამდვილი ნების განზრახვის შესახებ, ასეთ შემთხვევაში ქორწინება არ ჩაითვლება ფიქციურად, ვინაიდან უპირველესად კეთილსინდისიერი მექორწინის ინტერესები უნდა იქნას გათვალისწინებული.

მეუღლეთა შორის პირადი და ქონებრივი უფლება-მოვალეობის განაწილებისას სამართალი გამოდის მათი თანასწორობის პრინციპიდან, რომელსაც საფუძვლად უდევს საერთაშორისო-სამართლებრივ აქტებთან ერთად, საქართველოს კონტიტუციის 36-ე მუხლის პირველი პუნქტის შინაარსი. კონსტიტუციური დებულება, რომლის მიხედვითაც ქორწინება ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობას შედარებით დეტალურ გამოხატულებას პოულობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1152-ე მუხლში, რომლის მიხედვითაც, მეუღლეებს თანაბარი უფლეები და მოვალეობები გააჩნიათ. თანაბარი უფლებები თანაბარი

მოვალეობებითაა განპირობებული. რეგისტრირებული ქორწინების შედეგად წარმოშობილი პირადი უფლებები და მოვალეობები არსებითად განსხვავდება ქონებრივი ხასიათის უფლებამოვალეობებისაგან.

პირადი უფლებების მნიშვნელოვანი ნაწილი მეუღლეებს შეიძლება ჰქონდეთ დაქორწინებამდეც.

ლიტერატურაში გვხვდება მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მცირე ასაკის ბავშვის მიმართ უნდა მოქმედებდეს პრეზუმცია დედის სასარგებლოდ. აქ საუბარია იმაზე, რომ ადრეულ ასაკში ბავშვის ორგანიზმის თავისებურებიდან გამომდინარე, ბავშვს უფრო მეტად ესაჭიროება დედის მოვლა და ვფიქრობ, რომ სასამართლო ვალდებულია გაუწიოს ანგარიში აღზრდის ამ განსაკუთრებულ პირობას. თუმცა კონკრეტულ შემთხვევაში მხოლოდ ეს მოსაზრება ვერ გახდება გადამწყვეტი, ვინაიდან გათვალისწინებული უნდა იქნას საქმის ყველა სხვა გარემოება

მაგრამ თუ ორივე მეუღლეს მიზნად ჰქონდა ქორწინების შედეგად არა ოჯახის შექმნა, არამედ რაიმე გამორჩენის მიღება, სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება ქორწინების ბათილობის შესახებ გააჩნია სარეგისტრაციო ორგანოს, ხოლო, თუ ერთ-ერთი მეუღლე დაქორწინდა ისე, რომ მიზნად არ ისახავდა ოჯახის შექმნას, ასეთი სარჩელის აღვძვრა მეორე მეუღლესაც შეუძლია.

მეუღლეებს გააჩნიათ თანაზიარი ქონების მფლობელობის, სარგებლობის და განკარგვის თანაბარი უფლებები. ნებისმიერი შეთანხმება, რომელიც მიზნად ისახავს რომელიმე მეუღლის უფლებამოსილების რაიმე ფორმით შეზღუდვას, უნდა ჩაითვალოს ბათილად, რადგან ეწინააღმდეგება კანონის იმპერატიულ დებულებას მეუღლეთა თანაბარი უფლებების შესახებ.

ამ ჯგუფის ქვეყნებს განეკუთვნებიან საფრანგეთი და ინგლისი, რომელთა სამოქალქო კოდექსების მიხედვითაც, განქორწინება ეფუძვნებოდა მუღლეთა ბრალეულობის პრინციპს. კერძოდ კი, მეუღლეებს უნდა ემტკიცებინათ მოსარჩელე ან მოპასუხე მეუღლის ბრალი განქორწინების საქმეებთან დაკავშირებით.

მეუღლეთა საერთო ქონების გაყოფის დროს, სასამართლო ჯერ გამორიცხავს ყველა იმ ნივთს, რომელიც წარმოადგენს ინდივიდუალურ საკუთრებას, შემდეგ კი ადგენს საერთო ქონების ოდენობას ნივთობრივ და თანხობრივი გამოხატულებით. 61 არის შემთხვევები, როდესაც ერთ-ერთი მეუღლე მერე მეუღლის წილის შემცირების მიზნით ყიდის ან მალავ საერთო ქონების ნაწილს.

ასეთ შემთხვევაში, სასამართლომ დარჩენილი ქონების გაყოფისას უნდა გაითვალისწინოს აღნიშნული გარემოება და მოახდინოს დაკავებული ქონების კომპესირება. მაგარამ, თუ ერთ-ერთმა მეუღლემ თანაზიარი ქონების ნაწილი გამოიყენა მისი ან ოჯახის სხვა წევრების სარჩენად, სასამართლოს მიერ ასევე გათვალისწინებული უნდა იქნას აღნიშნული ფაქტი და მისი კუთვნილი ნაწილი ამის გამო არ უნდა შემცირდე

1994 წელს შვედეთში მიღებულმა კანონმა, რომელიც ძალაში შევიდა 1995 წლის 1 იანვრიდან, განსაზღვრა ერთი სქესის პირთა ქორწინების სპეციალური პროცედურა. ამავე კანონით დადგენილია, რომ რეგისტრირებულ ერთი სქესის წევრებს არ შეიძლება ჰყავდეთ ბავშვი აღსაზრდელად; აკრძალული აქვთ ბავშვის შვილად აყვანა როგორც ორივეს ერთად, ისე თითეულს ცალ-ცალკე და არ დაიშვებიან ხელოვნური განაყოფიერებისათვის განკუთვნილ სამედიცინო პროცედურებზე [22] . საქართველოსოკნსტიტუციის მიხედვით ქორწინება და ოჯახის შექმნა დაყარებულია ქალისა და მამაკაცის ურთიერთნებაზე.(მუხლი 30)[23]

[22] შენგელია რ., შ. ე. (მერიდიანი). *საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი.* თბილისი: 2009.30.

[23] საქართველოს კონსტიტუცია მუხლი 30.

თავი II. ქორწინების ბათილად ცნობა

§1. ქორწინების ბათილობის საფუძვლები

ქორწინების ბათილობა წარმოადგენს იმ ნორმალური იურიდიული შედეგების გაუქმებას, რომლებსაც კანონი ნამდვილ ქორწინებასთან აკავშირებს. იგი დგება მაშინ, როდესაც დარღვეულია დაქორწინების აუცილებელი პირობები, ან იგი მომხდარია იმ დამაბრკოლებელ გარემოებათა არსებობისას, რომლის დროსაც ქორწინება აკრძალულია ან კიდევ ყველა ფორმალური ნიშნის დაცვით, მაგრამ იმ განზრახვის გარეშე, რომ ნამდვილად შექმნას ოჯახი. ქორწინების ბათილად ცნობა იმას ნიშნავს, რომ მას თავიდანვე არ წარმოუშვია ის იურიდიული შედეგები, რაც მოსდევს ნამდვილ ქორწინებას. ქორწინების ბათილად ცნობა მხოლოდ სასამართლს შეუძლია. ამასთან, პრინციპულად განსხვავდება ერთმანეთისაგან სასამართლოში ქორწინების ბათილობისა და განქორწინების განხილვის წესი.

1. ქორწინება შეიძლება ცნობილი იქნეს ბათილად, თუ დარღვეულია 1107-ე, 1108-ე და 1120-ე მუხლებით დაწესებული პირობები და თუ ქორწინების რეგისტრაცია მიიზნად არ ისახავდა ოჯახის შექმნას (ფიქციური ქორწინება).
2. ქორწინება შეიძლება ბათილად ცნოს მხოლოდ სასამართლომ. (მუხლი 1140).

განქორწინების პროცედურის შინაარსი იმით არის განპირობებული, რომ მომავალი პერიოდისათვის წყვეტს მოქმედებას მეუღლეთაშორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობანი. ბათილობის დროს კი იგულისხმება, რომ საქორწინო-საოჯახო ურთიერთობა თავიდანვე არ ყოფილა წარმოშობილი. ეს გარემოება არსებით და გადამწყვეტ შედეგებს იწვევს, როცა ქორწინება ბათილად იქნება აღიარებული.

ქორწინების გაბათილება შეიძლება მიჩნეულ იქნეს იმ პირთა მიმართ გამოყენებულ სანქციად, რომლებიც კანონის მოთხოვნათა დარღვევით გატარდნენ ქორწინების რეგისტრაციაში.[24]

ქორწინების გაბათილება, როგორც სანქციის განსაკუთრებული სახე, მეუღლეთა მიმართ გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა სახეზეა მექორწინეთა განზრახვა კანონის მოთხოვნათა გვერდის ავლით გატარებულიყვნენ ქორწინების რეგისტრაციაში. მაგრამ პრაქტიკაში გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როცა მეუღლეებმაც არაფერი იცოდნენ იმ გარემოებათა შესახებ, რომლებიც კრძალავენ ქორწინების შესაძლებლობას. მაგალითად, შესაძლებელია ქორწინების რეგისტრაციის დროს მათ არ იცოდნენ ის რომ, არაღვიძლი და-ძმა ყოფილან, რაც ქორწინებიდან განსაზღვრული დროის გასვლის შემდეგ გახდა ცნობილი. ასეთ შემთხვევაში ქორწინება წყდება სასამართლოში ამ გარემოების დადგენის მომენტიდან. ამ დრომდე გასული პერიოდისათვის ქორწინება წარმოშობს ყველა იმ სამართლებრივ შედეგებს, რაც ნამდვილი ქორწინებისთვისაა დამახასიათებელი. მაგალიითად, თუ ასეთი ქორწინების დროს ერთ–ერთმა მეუღლემ შეიცვალა გვარი და გადაწყვიტა მეორე მეუღლის გვარზე გადასვლა, ამ გვარის ტარების უფლება დარჩება ქორწინების შეწყვეტის შემდეგაც ან თუ ასეთ ქორწინებაში გაჩნდა ბავშვი (თუნდაც ქორწინების შეწყვეტის შემდეგ),მეუღლეთა ქონების სამართლებრივი მდგომარეობის განსაზღვრა მჭიდროდაა დაკავშირებული მათი პირადი და საერთო ვალის ცნებასთან. პირადია ვალი, რომელსაც გააჩნია კერძო ხასიათი და რომელიც აღიარებული იქნა ქორწინებამდე ან თუნდაც ქორწინების პერიოდში, მაგრამ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე. საერთო არის ისეთი ვალი, რომელიც აღებულია ორივე მეუღლის მიერ ან შეიძლება ერთ-ერთი მეუღლის მიერ, თუმცა ოჯახის წევრების ინტერესებიდან გამომდინარე. მეუღელთა საერთო ვალები მათ შორის იყოფა ქონების იმ ნაწილის თანაზომიერად, რა ოდენობის ქონებაც თითოეულ მათგანს გააჩნია თანაზიარ საკუთრებაში მას თავისი მშობლების მიმართ ყოველგვარი საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობა უნარჩუნდება. განსახილველი მუხლის შინაარსი ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ განსაკუთრებულ შემთხვევებში, მეუღლეთა ერთად ცხოვრების

[24] ჭანტურია, ლ.. *საქართველოს სამოქალაქო კოდექსი წიგნი მეხუთე.* თბილისი: 2000.83

პერიოდში, მათთვის მოულოდნელად აღმოჩნდება მათი ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებების არსებობა, რაც კანონის მიხედვით ქორწინების გაბათილების საფუძველია, მაგრამ მას საოჯახო სამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტების ინტერესებიდან გამომდინარე, ქორწინების გაბათილება კი არ მოჰყვება, არამედ – მისი შეწყვეტა.[25]

საოჯახო კანონმდებლობის მიერ ქორწინების ბათილად ცნობის საფუძვლების დადგენა მიზნად ისახავს ოჯახის განმტკიცებას, მეუღლეებისა და მათი შვილებისინტერესების დაცვას და ავალდებულებს სასამართლოებს ასეთი ქორწინების დროს მხედველობაში მიიღონ თითოეული შემთხვევის თავისებურება და თუ დარწმუნდებიან, რომ არსებობს საკმარისი საფუძველი, ეს ქორწინება აღიარონ ბათილად.[26]

საქორწინო ასაკის დარღვევა იწვევს ქორწინების ბათილობას. იგივე შედეგი დგება მაშინაც, როცა საქორწინო ასაკი არ ყოფილა შემცირებული სასამართლოს მიერ. ასეთ შემთხვევებში ქორწინების გაბათილება განპირობებულია იმ პირის ინტერესებით რომელიც საქორწინო ასაკის მიღწევამდე დაქორწინდა. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ დაქორწინების გაბათილების აუცილებლობა მოიხსნება, თუ საქმის განხილვის მომენტისათვის არასრულწლოვანმა მეუღლემ საქორწინო ასაკს მიაღწია ან იგი ორსულადაა. ასეთ შემთხვევებში მხოლოდ მისი მოთხოვნით შეიძლება გაბათილდეს ქორწინება. იგულისხმება, რომ არასრულწლოვანი მეუღლე თვითონ გამოხატავს თავის ინტერესებს. სხვა შემთხვევაში არასრულწლოვანი მეუღლის ინტერესების განსაზღვრა სასამართლოს კონპეტენციაში შედის. მაგალითად, თუ სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ქორწინების გაგრძელება უარყოფითად იმოქმედებს არასრულწლოვანის ჯამთელობაზე, მაშინ აუცილებლად უნდა გაბათილდეს ქორწინება. ეს მაშინაც შეიძლება, როცა არასრულწლოვანმა მეუღლემ საქმის განხილვის მომენტისათვის საქორწინო ასაკს მიაღწია და პირიქით, სასამართლომ შეიძლება არ გააბათილოს ქორწინება, თუ ასეთ ქორწინებაში გაჩნდა

[25] ჭანტურია, ლ. . *საქართველოს სამოქალაქო კოდექსი წიგნი მეხუთე.* თბილისი: სამართალი.2000.85

[26] შ., ჩიკვაშვილი.. *საოჯახო სამართალი.* თბილისი: გამომცემლობა "მერიდიანი".2004.256.

ბავშვი, ან ცოლი ორსულადაა, ან კიდევ არასრულწლოვანი მეუღლე საჭიროებს სერიოზულ და ხანგრძლივ მკურნალობას.

საქორწინო ასაკის დარღვევით ქორწინებით შემთხვევაში, მისი გაბათილების მოთხოვნის უფლება აქვს თვითონ არასრულწლოვან მეუღლეს, მის მშობლებს, მეურვეს ან მზრუნველს, აგრეთვე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს. (მუხ. 1142)

სასამართლომ აგრეთვე შეიძლება ბათილად ცნოს ისეთი ქორწინება, რომელიც გაფორმდა:

a) იმ პირებს შორის, რომელთაგანაც თუნდაც ერთი სხვა ქორწინებაში იმყოფება. ამ დროს არა აქვს მნიშვნელობა ამის შესახებ მეორემ იცოდა თუ არა ეს, ასეთ შემთხვევაში ყოველთვის მეორე ქორწინება უნდა გაბათილდეს და არა პირველი;
b) პირდაპირი აღმავალი და დაღმავალი შტოს ნათესავებს შორის, თუნდაც დაქორწინების დროს ამის შესახებ მათ არ სცოდნოდათ;
c) ღვიძლ და არაღვიძლ და-ძმას შორის არა აქვს მნიშვნელობა იმას, იცოდნენ თუ არა ამის შესახებ;
d) მშვილებლებსა და ნაშვილებს შორის, მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის ქორწინებისას გამორიცხულია სისხლის აღრევასთან დაკავშირებული უარყოფითი შედეგები;
e) იმ პირებს შორის, რომელთაგანაც თუნდაც ერთ-ერთი სულით ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობის გამო სასამართლოს მიერ ცნობილია ქმედუუნაროდ. Pპირის ქმედუუნაროდ აღიარება წინ უნდა უსწრებდეს დაქორწინებას.

კანონით გათვალისწინებული ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებების არსებობა, მისი გაბათილების უდავო საფუძველს არ წარმოადგენს. სასამართლოს უფლება აქვს და არაა ვალდებული ყველა შემთხვევაში გააბათილოს ქორწინება. ეს უნდა გააკეთოს მხოლოდ მაშინ, როცა დარწმუნდება გაბათილების აუცილებლობაში.

შესაძლებელია ისეთი შემთხვევებიც, როცა ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოება მართალია არსებობდა ქორწინების რეგისტრაციის დროს, მაგრამ საქმის განხილვის მომენტისათვის იგი მოისპო. ასეთი რამ შეიძლება მოხდეს ნებისმიერი გარემოების მიმართ. არ შეიძლება მხოლოდ სისხლით ნათესაობასთან დაკავშირებული დამაბრკოლებელი გარემოების მოსპობა. თუ საქმის განხილვის მომენტისათვის აღარ არსებობს ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებები, მაშინ სასამართლოს შეუძლია ქორწინება ცნოს ნამდვილად იმ მომენტისათვის, როცა ასეთი გარემოებები მოისპო და არა ქორწინების რეგისტრაციიდან. მსგავს შემთხვევაში ფაქტობრივად ბათილდება ქორწინების ის ნაწილი, რომელიც არსებობდა მისი რეგისტრაციიდან ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოების არსებობის მთელი პერიოდის მანძილზე, ე.ი. მის მოსპობამდე. მაგალითად თუ პირველი ქორწინება შეწყდა მეორე ქორწინების პერიოდში, ეს უკანასკნელი უნდა გაბათილდეს მისი რეგისტრაციის მომენტიდან, რადგან იმ მომენტში ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოება პირველი ქორწინების სახით სახეზე იყო, მეორე ქორწინება ნამდვილად უნდა ჩაითვალოს პირველი ქორწინების შეწყვეტის მომენტიდან.

ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოების არსებობის საფუძვლით ქორწინების ბათილად ცნობის მოთხოვნის უფლება აქვთ მეუღლეებს და იმ პირებს, რომელთა უფლებებიცაა დარღვეული ამ ქორწინებით (ნათესავები, ყოფილი მეუღლე, შვილები და სხვა), აგრეთვე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებს.

თუ სასამართლო იხილავს სულით ავადმყოფ ან ჭკუასუსტ ქმედუუნარო პირთან ქორწინების ბათილობის საკითხს, მაშინ საქმის განხილვაში მონაწილეობის მისაღებად ასეთი პირის მეურვის ჩასმა აუცილებელია. თუ ქორწინების პერიოდში იქნა ერთ-ერთი მეუღლე ამავე მიზეზით ცნობილი ქმედუუნაროდ, მაშინ ეს საფუძვლად დაედება განქორწინებას და არა ქორწინების გაბათილებას.[27]

[27] ჭანტურია, ლ. *საქართველოს სამოქალაქო კოდექსი წიგნი მეხუთე.* თბილისი: სამართალი.2000.89.

§2. იძულებითი და ფიქციური ქორწინების ბათილად ცნობა

ქორწინების გაბათილების სერიოზულ საფუძველს წარმოადგენს მექორწინეთა ნებაყოფლობის პრინციპის დარღვევა. ნამდვილ ქორწინებას საფუძვლად უდევს მექორწინეთა მიერ ურთიერთთანხმობისა და ნებასურვილის თავისუფალი გამომჟღავნება. მექორწინეთა ნება შეიძლება დეფექტური ხასიათის იყოს. ეს ხდება მაშინ, როცა დაქორწინება იძულებითია. იძულება კი შეიძლება გამოიხატოს როგორც პირდაპირ ძალადობაში, ისე ფსიქიკაზე ზემოქმედებაშიც. ფსიქიკაზე ზემოქმედება მუქარის გზით, უნდა იყოს კანონსაწინააღმდეგო ხასიათისა და მიმართული დასაქორწინებელი პირის ანდა მისი ახლო ნათესავის სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან პატივისა და ღირსების წინააღმდეგ. იძულებითი დაქორწინების გავრცელებული ფორმაა ქალის მოტაცება, რაც დღეს სისხლისსამართლებრივ დარღვევად არის მიჩნეული. ხშირად ქალის მოტაცება მასთან ქორწინების მიზნით ხდება მოტაცებულის თანხმობით. ეს ქალის მოტაცების სიმულაციაა და იგი სამართალდარღვევად არ უნდა ჩაითვალოს. ამას ადასტურებს ის, რომ თუ სახეზე მართლაცაა ქალის მოტაცება ქორწინების მიზნით, არ არსებობს სამართლებრივი ნორმა, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იყოს მოტაცებული ქალის უკან დაბრუნება, თუ ამის სურვილს თვითონ მოტაცებული არ გამოთქვამს. სწორედ ამიტომ ითვალისწინებს კანონი იმ მეუღლის ინიციატივით დაქორწინების გაბათილების საკითხის სასამართლოში დაყენებას, რომლის მიმართაც ქორწინების დროს გამოყენებული იქნა ძალადობა. მის მიმართ ძალადობა კი შეიძლება გამოიყენოს როგორც მეუღლემ, ისე მისმა მშობლებმა ან ნათესავებმა. იძულებითი დაქორწინება ყოველთვის როდი გულისხმობს ქალის ნებაზე კანონსაწინააღმდეგო ზემოქმედებას. შესაძლებელია ზემოქმედება მოხდეს მამაკაცის ნებაზეც. ამიტომ, ასეთ შემთხვევაში, მას აქვს უფლება სარჩელით მიმართოს სასამართლოს. ყველა შემთხვევაში იძულებითი ქორწინების ფაქტი უნდა დაადგინოს სასამართლომ. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა დარწმუნდება სასამართლო, რომ დაქორწინება მოხდა იძულებით, რამაც მნიშვნელოვნად შელახა ერთ-ერთი ან ორივე მეუღლის (როცა ორივე მეუღლის ნება ქორწინებაზე დეფექტურია) ინტერესები და

დაინტერესებული მხარე ითხოვს ქორწინების გაბათილებას, იგი ვალდებულია გამოიტანოს გადაწყვეტილება ასეთი ქორწინების გაბათილების შესახებ.

ქორწინების გაბათილების საფუძველს წარმოადგენს მექორწინეთა ნების ისეთი გამოვლინება, რაც მიზნად არ ისახავს ოჯახის შექმნას. ასეთ დროს ქორწინებისათვის აუცილებელი ფორმალური მოთხოვნები ზუსტადაა შესრულებული, ოღონდ მექორწინეთა შინაგანი ნება და მისი გარეგანი გამოხატულება ერთმანეთს არ ემთხვევა. შინაგანად ისინი ცდილობენ დაქორწინება გამოიყენონ სულ სხვა მიზნისთვის, ვიდრე ოჯახის შექმნაა. ასეთი მიზანი შეიძლება იყოს: სამემკვიდრეო ქონების მიღება, პენსიის დანიშვნა, სამხედრო სამსახურიდან თავის დაღწევის სურვილი და სხვა. გარეგნულად მათი ნება ოჯახის შექმნის სურვილს გამოხატავს. ასეთი ქორწინება ფიქციურია და სასამართლომ იგი შეიძლება გააბათილოს. იგულისხმება, რომ ამ დროს დაქორწინებულ პირს არ სურს ოჯახის შექმნა. თუ ერთ-ერთ მათგანს გულწრფელად ჰქონდა ოჯახის შექმნის სურვილი და არაფერი იცოდა მეორის ნამდვილი სურვილის შესახებ, ასეთ შემთხვევაში ქორწინება არ შეიძლება ჩაითვალოს ფიქციურად, რადგან კეთილსინდისიერი მექორწინის ინტერესები უნდა იქნეს გათვალისწინებული. რადგან დაქორწინებისას იგი მოატყუა მისმა მომავალმა მეუღლემ და ამით სინამდვილეში ხელი შეეშალა ურთიერთთანხმობის ჭეშმარიტ გამოვლინებას, მას შეუძლია მოითხოვოს ქორწინების ბათილობა. მეუღლეთა შორის ხანმოკლე სიახლოვე არ შეიძლება ქორწინების ფიქციურად აღიარებისათვის ხელისშემშლელ გარემოებად იქნეს მიჩნეული, მით უმეტეს თუ იგი გამიზნული იყო ქორწინების ნამდვილობის გარემოს შესაქმნელად. როცა ორივე მეუღლეს მიზნად ჰქონდა ფიქციური ქორწინების შედეგად არა ოჯახის შექმნა, არამედ რაიმე გამორჩენის მიღება, სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება ქორწინების გაბათილების შესახებ გააჩნია სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურს.

ქორწინების გაბათილება არ შეიძლება იმ შემთხვევაში, როცა მექორწინეებმა სასამართლოს მიერ საქმის განხილვამდე ფაქტობრივად უკვე შექმნეს ოჯახი. ამ დროს ქორწინების გაბათილების საფუძველი ისპობა. არ შეიძლება ქორწინების გაბათილება იმ შემთხვევაშიც, როცა ქორწინება მოხდა არა სიყვარულისა და ურთიერთპატივისცემის საფუძველზე, არამედ ანგარებითა და მერკანტილური

მოსაზრებებით. ასეთ შემთხვევაში, მართალია, ზნეობრივად გაუმართლებელი მოტივებითაა განპირობებული ქორწინება, მაგრამ ოჯახის შექმნას მაინც ისახავს მიზნად.[28]

ფიქციურ განქორწინებას ვხვდებით აქტუალურად უზენაესის სასამართლოს გადაწყვეტილებებში და ერთ-ერთი კი ასე გამოიყურება დავის საგანი არის : საცხოვრებელი სახლის თანამესაკუთრეს ცნობა, კუთვნილი წილის უკანონო მფლობელობიდან გაამოთხოვება. დადგენილება ა.კ-ძის (წარმომადგენელი ლ.ლ-უა) საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს; უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008წლის 4 თევერვლის განჩინება;

საკასაციოი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება[29]

არსებობს საკამოდ ბევრი საქმე ზოგადად ქორწიენბსი ბათიალდ ცნობის შეახებ და რამდნეიმე ასეთია:

დავის საგანს წარმოადგენს ქორწილების ბათილად ცნობა,შეჯამება კი ასე გამოიყურება თუ პირველი ქორწინება იყო ფიქტიური ქორწინება და ქორწინების ბათილობის შესახებ სასამართლოს განჩინება კანონიერ ძალაში შევიდა, მეორე რეგისტრირებული ქორწინება ჩაითვლკება ნამდვილ ქორწინებად, მიუხედავად იმისა, რომ მეორე ქორწინების რეგსიტრაცია მოხდა სასამართლოს მიერ პირველი ქორწინების ბათილად ცნობამდე.მეორე ქორწინება ნამდვილია რეგისტრაციიდანვე და არა სასამართლოს მიერ პირველი ქორწინების ბათილად ცნობის შესახებ განჩინების კანონიერ ძალაში შესვლამდე, სასამართლომ დაადგინა : დ.ჟ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკამყოფილდეს. თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო , სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთ სააპელაციო პალატის 2003წ. 30იავნრის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება. სარელუზიო ნაწილი: პალატამ იხელმძღვანელა სსკ-ს410-ე მუხლით. განმარტებული

[28] ჭანტურია, ლ.. *საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, (წიგნი მეხუთე).* თბილისი: "სამართალი".2000.97

[29] საქართველოს უზენაესი სასამართლოს,სამოქალაქო სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა.2008 წლის 21 ოქტომბრის განჩინება №376-625-08.

ნორმები

: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1120-ე მუხლი და 1143-ე მუხლი[30]

დავის საგანი: ქორწინების სააქტო ჩანაწერის ბათილად ცნობა. სარეზოლუციო ნაწილი: საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 391-ე,401-ე 408.3-ე მუხლებით და დაადგინა:1. ა.ყ-ის საკასაციო საჩიბარი,ოროროც დაუშვებელი, დარჩეს, განუხილველად;2. ა.ყ-ეს (პ/ნ5...)სახელმწიფო ბიუჯეტიდან (ქ.თბილისი,. სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიში სახაზინო კოდი) დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე მის მიერ გადახდილი სხელმწიფო ბაჟის 150ლარს(საგადასახდო დავალება).. გადახდის თარიღი 2016წლის 22 თებერვალი)70 %-105(სა ხუთი) ლარი; 3. განჩინება საბოლოაა და არ საჩივრედება . [31]

§3. ქორწინების ბათილობის სამართლებრივი შედეგი

განქორწინებისაგან განსხვავებით, რაც მომავალში საქორწინო და საოჯახო სამართლებრივ ურთიერთობათა შეწყვეტას ედება საფუძვლად, ქორწინების ბათილობას უკუქცევითი ხასიათი გააჩნია. იგი ქორწინების რეგისტრაციის მომენტიდანვე არ წარმოშობს მეუღლეთა უფლებებსა და მოვალეობებს. ასეთი ქორწინება ითვლება არარსებულად, თავიდანვე არშემდგარად. თუ საქმის განხილვის მომენტისათვის აღარ არსებობს ქორწინების ბათილად აღიარების საფუძველი, სასამართლოს შეუძლია ქორწინება კანონიერად ცნოს ასეთი საფუძვლების მოსპობის მომენტიდან. რადგან ქორწინების გაბათილება ნიშნავს მექორწინეთა შორის მეუღლეთა უფლება-მოვალეობების არსებობის უარყოფას, ყოველგვარი ქონებრივი დავა მათ შორის, ქორწინების გაბათილების შემდეგ უნდა გადაწყდეს როგორც კერძო პირებს შორის საერთო საკუთრების თაობაზე წარმოშობილი დავა. ე.ი. ასეთ

[30] საქართველოს უზენაესი სასამართლო სამოქალაქო საქმეთა პალატა 2003წლის 12 ივნისის განჩინება №3კ-62803

[31] საქართველოს უზენასეი სასამართლოს სამოქალქო საქმეთა პალატა;2016წლის 20 მაისის განჩინება №ას-195-186-2016

შემთხვევაში დავა უნდა გადაწყდეს არა საოჯახო სამართლებრივი, არამედ სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების საფუძველზე.

ქორწინების გაბათილება მოქმედებს არა მარტო ქონებრივ, არამედ პირადი ურთიერთობების მიმართაც. ყოფილ მეუღლეებს არა აქვთ მეორე მეუღლის გვარის თარების უფლება. შრომისუუანრო მეუღლე, რომელიც მატერიალურ დახმარებას საჭიროებს, კარგავს მეორე მეუღლისაგან ალიმენტის მოთხოვნის უფლებას. ასეთი შედეგების დადგომამ მეუღლის მიმართ, რომელმაც არ იცოდა და არც შეეძლო სცოდნოდა ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოების არსებობის შესახებ, უსამართლობა იქნებოდა. ამიტომ კანონით კეთილსინდისიერ მეუღლეს უფლება ენიჭება მეორე მეუღლისაგან მოითხოვოს სარჩო და ქორწინების ბათილად ცნობამდე შეძენილი ქონების გაყოფა-საოჯახო სამართლებრივი ნორმების საფუძველზე, როგორც მეუღლეთა თანასაკუთრებისა. კეთილსინდისიერ მეუღლეს შეუძლია კვლავაც ატაროს ქორწინების რეგისტრაციის დროს მიღებული გვარი და ა.შ. ამგვარად, ზოგიერთი ქონებრივი ურთიერთობა ერთ-ერთი მეუღლის კეთილსინდისიერების დროს მთლიანად კი არ წყდება, არამედ კარგავს თავის ორმხრივვალდებულებით ხასიათს. იგი შენარჩუნებულად ითვლება კეთილსინდისიერი მეუღლის უფლებებთან და მეორე მეუღლის ვალდებულებებთან მიმართებაში.

მუხლი 1148. არავის შეუძლია მიუთითოს ქორწინების ბათილობაზე თუ ქორწინება სასამართლოს მიერ ბათილად არ იქნება ცნობილი.

ქორწინების გაბათილება მხოლოდ სასამართლოს კომპეტენციაა და არავის არა აქვს უფლება ქორწინება გაბათილებულად ჩათვალოს, თუ არ იქნება სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილება. პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოება ცნობილი გახდა ქორწინების რეგისტრაციის შემდეგ, მაგრამ მხოლოდ ერთი მეუღლე ცდილობს შეცდომის გამოსწორებას, მეორე კი ამის წინააღმდეგია და ყველანაირად ცდილობს მიაღწიოს ქორწინების შენარჩუნებას. ამის გამო, კეთილსინდისიერ მეუღლესა და მეორე მეუღლეს შორის ფაქტობრივად შეწყვეტილია საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობანი. მიუხედავად ამისა, მას ხელახლა დაქორწინება მაინც არ შეუძლია, რადგან ქორწინება, რომელშიც იგი

ფორმალურად იმყოფება, ჯერ კიდევ არ გაბათილებულა სასამართლოს მიერ. გაბათილების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანიდან მოხდება მისი რეგისტრაცია სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში და ყოფილ მეუღლეებს უნდა მიეცეთ ქორწინების ბათილობის მოწმობა. ამის შემდეგ შეუძლიათ სხვა პირზე დაქორწინება. ქედან გამომდინარე, ქორწინების გაბათილების შესახებ სასამართლომ უნდა აცნობოს სააგენტოს იმ ტერიტორიულ სამსახურს, რომელმაც გააფორმა აღნიშნული ქორწინება. თვით სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურს კი არ შეუძლია ქორწინების გაბათილება იმ შემთხვევაშიც კი, როცა ორივე მეუღლე ითხოვს მის გაბათილებას. ასეთ შემთხვევაში მას შეუძლია მხოლოდ განაქორწინოს მეუღლეები სამოქალაქო კოდექსის 1124-ე მუხლის საფუძველზე. [32]

[32] შენგელია რ., შ. ე. (მერიდიანი). *საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი.* თბილისი: 2017.110

დასკვნა

ოჯახის შექმნის ძირითადი საფუძველია ქორწინება. ქორწინება ეს არის ოჯახის შექმნის მიზნით ქალის და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირი, რომელიც რეგისტრირებულია სახლემწიფო ორგანოში; ქორწინება ეს არის ურთიერთ სიყვარულსა და პატივისცემაზე დაფუძვნებული, სამიდღემშიო კავშირი, რომელიც მიზნად უნდა ისახავდეს ბავშვის დაბადებას და აღზრდას.

დაქორწინების ძირითადი პირობებია: დასაქორწინებელ პირთა თანხმობა და საქორწინო ასაკი.

დასაქორწინებელ პირთა თანხმობა, რომ შემდგომ ისინი იყვნენ ცოლი და ქმარი, უნდა იყოს ნამდვილი, რაც იმას ნიშნავს, რომ გამოხატული ნება უნდა იყოს გაცნობიერებული და მათ შეეძლოთ ანგარიში გაუწიონ თავიანთ მოქმედებებს. ამიტომ, თუ პირი იმყოფება ისეთ მდგომარეობაში, როცა მას არ გააჩნია შესაძლებლობა გააცნობიეროს თავისი მოქმედება, ქორწინების რეგისტრაცია არ დაიშვება. მაგრამ, თუ მოხდება ასეთ მდგომარეობაში მყოფ პირთა ქორწინების რეგისტრაცია, აღნიშნული შეიძლება გახდეს საფუძველი ქორწინების ბათილად ცნობისათვის.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსმა როგორც მამაკაცებისათვის, ისე ქალისათვის საქორწინო ასაკად დააწესა 18 წელი.

კანონით გათვალისწინებული დაქორწინების პირობები გამომდინარეობს ქორწინების არსისა და დანიშნულებიდან. მათი დაცვა აუცილებელია იმისათვის, რომ ქორწინებას მიენიჭოს სამართლებრივი ძალა, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი შეიძლება ცნობილ იქნეს ბათილად, ვინაიდან ქორწინების პირობების ქვეშ საოჯახო სამართლის მეცნიერებაში იგულისხმება გარემოებები, რომლებიც აუცილებელია ქორწინების რეგისტრაციისა და ნამდვილად ცნობისათვის.

სამოქალაქო კოდექსი დამაბრკოლებელ გარემოებათა არსებობის შემთხვევაში საერთოდ კრძალავს ქორწინების რეგისტრაციას. კერძოდ, არ დაიშვება იმ პირთა შორის, რომელთაგან თუნდაც ერთი დაქორწინებულია სხვასთან. ქორწინებაში მყოფ

პირს შეუძლია ხელახლა იქორწინოს მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც წამოადგენს დამადასტურებელ საბუთს, რომ იგი აღარ იმყოფება რეგისტრირებულ ქორწინებაში.

სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს თანამდებობის პირი მოვალეა უზრუნველყოს დაქორწინების მსურველი პირებისათვის მდგომარეობის ურთიერთგაცნობა. ამასთან დაკავშირებით მიზანშეწონილია არსებობდეს დასაქორწინებელ პირთა უფასო სამედიცინო გამოკვლევის, აგრეთვე მათი კონსულტირების შესაძლებლობა სამედიცინო-გენეტიკური და ოჯახის დაგეგმვის შესახებ საკითხებზე. ცხადია, ასეთი გამოკვლევა შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ დასაქორწინებელ პირთა თანხმობით, ნებაყოფლობით საწყისებზე. ასეთი გამოკვლევის შედეგები შეადგენენ სამედიცინო (საექიმო) საიდუმლოებას და შეიძლება ეცნობოს მეორე მხარეს მხოლოდ გამოკვლეული პირის თანხმობით.

ახალმა სამოქალაქო კოდექსმა დააკონკრეტა ნათესაობის წრე, რომელთა შორის ქორწინება მიიჩნია ქორწინების დამაბრკოლებელ გარემოებად. კერძოდ, არ დაიშვება დაქორწინება პირდაპირი აღმავალი და დამავალი შტოს ნათესავებს შორის, ღვიძლ და არაღვიძლ დასა და ძმას შორის, მშობლებსა და ნაშვილებს შორის და იმ პირებს შორის, რომელთაგან თუნდაც ერთი სულით ავადმყიფობის ან ჭკუსუსტობის გამო სასამართლოს მიერ ცნობილია ქმედუუნაროდ აღნიშნულ პირთა შორის დაქორწინების დაუშვებლობა ეფუძნება ზნეობრიობის პრინციპს და დასაბუთებულია ბიოლოგიურადაც.

მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის სახლემწიფო ორგანო, რომელიც მიიღებს დასაქორწინებელ პირთა განცხადებას, მოვალეა გააცნოს მათ ქორწინების რეგისტრაციის პირობები და წესი, აგრეთვე განუმარტოს მათ მეუღლეთა და მშობელთა უფლება–მოვალეობები; გააფრთხილოს ისინი, რომ პასუხისმგებლები არიან დაქორწინების დამაბრკოლებელ გარემოებათა დაფარვისათვის. განცხადების შეტანის დღიდან დაქორწინების გაფორმებამდე ვადა დაწესებულია იმისათვის, რომ დასაქორწინებელმა პირებმა უკეთ გაიცნონ ერთმანეთი, შეამოწმონ თავიანთი გრძნობები და მოემზადონ დაქორწინების საზეიმო ვითარებაში ჩატარებისთვის ერთთვიანი ვადა შეიძლება შემცირებული იქნეს.

კანონი განსაზღვრავს ქორწინების რეგისტრაციის მიზანს: ქორწინების რეგისტრაცია წესდება როგორც სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების, ისე მეუღლეთა და მათი შვილების პირადი და ქონებრივი უფლებებისა და მოვალეობების დაცვის მიზნით.

მეუღლეთა პირად და ქონებრივ უფლება–მოვალეობებს წარმოშობს, მხოლოდ კანონით დადგენილი წესით გაფორმებული ქორწინება. მეუღლეთა პირადი, უფლება–მოვალეობის სამართლებრივი რეგულირება მიზნად ისახავს ოჯახში მეუღლეთა თანასწორობის უზრუნველყოფას. ასე, რომ მეუღლეთა თანასწორობის პრინციპის განხორციელება სათავეს იღებს საქართველოს კონსტიტუციიდან.

მეუღლეთა პირად საკუთრებაში შეიძლება იყოს მათი მატერიალური და კულტულური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად განკუთვნილი ქონება.

მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონების ცნების ქვეშ იგულისხმება ქორწინების პერიოდში შეძენილი ყოველგვარი ქონება (უძრავი და მოძრავი) ის, რომელიც შეძენილია (ან შექმნილია) ორივე მეუღლის ერთობლივი შრომითა და სახსრებით, ამასთან მეუღლეთა ერთობლივი შრომა მოცემულ შემთხვევაში, ნიშნავს ოჯახის საკეთილდღეოდ გაწეულ ყოველგვარ საზოგადოებრივად სასარგებლო და აუცილებელ შრომას, რასაც მეუღლეები ასრულებენ, როგორც ოჯახში, ისე ოჯახის გარეთ, აქედან გამომდინარე მეუღლეებს თანაბარი უფლებები აქვთ ქონებაზე.

კანონი მეუღლეთა საერთო თანასაკუთრებაში წილის თანაბრობის პრინციპს არ უკავშირებს, იმას, თუ რომელმა მეუღლემ რა მონაწილეობა მიიღო ამ ქონების შექმნაში და არც მათი შრომის ხასიათსა და მნიშვნელობას.

საქორწინო ხელშეკრულების დადებას მიმართავენ, როგორც დაქორწინებული, ისე ქორწინებაში მყოფი პირებიც, ისინი არიან შეძლებული მესაკუთრენი, რომლებსაც სურვილი აქვთ შეინარჩუნონ ქონება გარდა ამისა მათ მიეკუთვნებიან მსხვილი მეწარმენი, რომელთაც საკუთარი ბიზნესი აქვთ, დაბოლოს აღნიშნული კატეგორიის პირთა რიცხვს განეკუთვნებიან პირები, რომლებმაც უკვე ,,იგემეს'' წინა ქორწინების

შედეგად ქონებრივი კრახის ,,გემო'' და ცდილობენ შემდგომ ქორწინებაში თავი დაიცვან თუ მორალური არა მატერიალური დანაკარგისგან მაინც.

ამრიგად, ჩვენ აგრეთვე განვიხილეთ განქორწინების ცნება ძველი და ახალი საოჯახო სამართლის მიხედვით. ჩვენ საკმაო მაგალითები მოვიტანეთ ძველი ქართული სამართლის მიხედვით განქორწინების, როგორც ლეგალური, ისე ფიქტიური საფუძვლების შესახებ. ამგვარად, ჩვენს წინაშეა განქორწინებისათვის საკმაო საფუძვლების სისტემატური და ჩამოყალიბებული სახეები. ჩანს, რომ იმდროინდელი საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა, კულტურული დონე, იურიდიული აზროვნება და იურიდიული ტექნიკა არც თუ ისე ჩამორჩენილი ყოფილა.

თანამედროვე საოჯახო სამართალი, როგორც სამოქალაქო სამართლის ქვედარგი, შედგება მთელი რიგი საოჯახო სამართლებრივი ინსტიტუტებისაგან, რომლებიც არეგულირებენ საოჯახო ურთიერთობების ცალკეული სფეროს ერთ კონკრეტულ მხარეს, ერთგვაროვან და ორგანულად ერთმანეთთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, რომლებიც წარმოიშობა ქორწინებისა და ოჯახის საფუძველზე.

მიუხედავად, იმისა, რომ ქართული სამართლის ძეგლები კრძალავდა განქორწინებას, კანონი იძულებული იყო ზოგიერთ შემთხვევაში დაეშვა იგი. შუა საუკუნეებში ასეთი შესაძლებლობა მამაკაცს უფრო ჰქონდა, ვიდრე ქალს. ეს აისახება ძველი ქართული სამართლის ძეგლებში.

დროთა განმავლობაში საზოგადოების განვითარებასთან ერთად სამართალმაც განიცადა ტრანსფორმაცია. ცხადია, სხვა სახე მიიღო როგორც ქორწინების, ისე განქორწინების მომწესრიგებელმა ნორმებმა. განქორწინების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანისას, იმავდროულად სასამართლო იღებს აუცილებელ ზომებს მცირეწლოვანი შვილებისა და შრომისუუნარო მეუღლის ინტერესების დასაცავად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. თ. ზარდანია, ლ. (თბილისი). *ტიპიური ხელშეკრულების ნიმუშები.* 2006
2. ი.ფუტკარაძე. (1977). *ქორწინების წესები ქართული სამართლის მიხედვით, ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის შრომები .* თბილისი:.
3. ლ.ჭანტურია. (1997). *შესავალი საქართველოს სამოქალაო კოდექსის ზოგად ნაწილში.*თბილისი:
4. ო, ზ. (2002). *მეუღლეთა ქონებრივი უერთიერთობის რეჟიმი,.* თბილისი.
5. საქართველოს უზენესი სასამართლოს სამოქალაქო, ს. დ. (თ. გ.).
6. შ., ჩ. (2004). *საოჯახო სამართალი.* თბილისი: გამომცემლობა "მერიდიანი".
7. შენგელია რ., შ. ე. (მერიდიანი). *საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი.* თბილისი: 2004
8. ჭანტურია, ლ. (2000). *საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, (წიგნი მეხუთე).* თბილისი: გამომცემლობა "სამართალი".
9. საქართველოს კონსტიტუცია